სახალხო გაზეთი

№ 939 ოთხშაბათი, 10 ივლისი 1913 წ. № 939

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 20 კ., უკან 10 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო-ჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა ,,შრომა''-ში, მუხრანის ქუჩა, და ეღირება 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და მ. მეტლ და ამხ.-ის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება ,,სახალხო გაზეთი''-ს რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე, საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახ. № 6.

ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისთვის: ტფილისი, ქართული ,,სახალხო გაზეთი'' 190.

ტელეფონი № 12-29

გაზეთის ფასი წელიწადში 8 მ. 50 კ., თვეში—75 კაპ. ცალკე № ყველგან 5 კ., დამატებიანი—7 კ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა

სახალხო გაზეთი

უოველკვირეული სურათებიანი დამატებით

პირველი მკათათვიდან წლის დამლევამდი, როგორც ქალაქში ისე ქალაქ გარედ ღირს 4 მ. 50 კ.

თვეში ღირს 75 კაპ.

არ მიიღება ხელის მოწერა ცალკე უდამატებოდ და არც სურათებიანი დამატება იყიდება ცალკე.

მისამართი: Тифлисъ, „Сахалхо газети“ Почт. ящ. 190.

კვირას, 7 ივლისს, დიდი ხნის ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა

სოლომონ (გიგო) ქევაზის ძე გაგლოშვილი,

რასაც აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გულდამწვარნი: **მეუღლე პელაგია სვიმონის ასული,** და **შვილები: გიორგი, ნიკოლოზ, ალექსანდრე ‍დ ნინო.** გასვენება ხუთშაბათს, 11 ივლისს, საკუთარ სახლიდან (ნიკოლაევის ქუჩა № 34), დილის 9 საათზე, ანჩისხატის ეკლესიაში. პანაშვიდები ყოველ საღამოს 8 საათზე, დაკრძალვა მოხდება წმ. ნინოს სასაფლაოზე. 424

პირველ-ხარისხოვანი

დიდი ცირკი

ძმ. ესიკოვსკებისა

მიხეილის პროსპექტ., მუშტაიდის შესავალთან, ნ. კუნდუხოვის ადგილზე, საკუთარი საზაფხულო გრილი სადგომი, ტრამვაი აქვე ჩერდება და შინ დაბრუნებისასაც მუშაობს.

დღეს, 10 ივლისს, 1913 წ. გაიმართება

დიდი ცირკის ორი ნაწილისაგან შემდგარი წარმოდგენა.

დღეს დიდი კორდე-ბალეტია.

ბალეტი მოწვეულია ვარშავის დიდი თეატრის პრიმა-ბალერინა ლამაზი ქალის **ალექსისაგან** (რომელსაც უწოდებენ რუსის ბალეტის მომავალ ვარსკვლავს). დღესვე მონაწილეობას მიიღებს სახელგანთქმული ბორკილების მეფე, ამერიკელ დეტექტივების რისხვად წოდებული **ბ გ უგო-გუგოსეტი** გამოჩენილი ბულგარელი მოჯირითე ქალი **თამარა,** ხალხის სურვილით დარჩება 15 დღით.

ანონსი: ხვალ. ხუთშაბათს, 11 ივლისს, დაიწყება 4 ეშმაკის გასტროლები.

დასაწყ. საღ. 8 ს. დირექცია **ძმ. ესიკოვსკები.**

423 გამგე **ლ. მ. ხუნდაძე.**

გამოვიდა და იყიდება წერა-კითხვის საზოგადოების მაღაზიაში ახალი სალიტერატურო—სამეცნიერო—კრებული

ვეირმვინი

ფასი ერთი მანეთი

1. შოთა რუსთაველი, გრ. რობაქისა.
2. სუმერული ‍დ ქართული, მ. წერეთლისა.
3. ოიდიპოს მეფე, თარგმ. ბერძნულით კ. ქავთარაძისა.
4. მეფე-მგოსანი, სანდრო შანშიაშვილისა.
5. ღამე, ს. ფირცხალავასი.
6. გლოვის ზარი, მისივე. 1371

გამოსულია და იყიდება

ნ. შიუკაშვილის

პიესა ,,მეგობრობა'', დრამა 4 მოქმედებ. ფასი 30 კაპ.

ტფილისის კერძო სამკურნალო

ახლად გადაკეთების შემდეგ, ავადმყოფები მიიღებიან.

ქსენიევის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 7, მიხეილის პროსპექტისა და ვეტცელის სასტუმროს ახლოს.

ტ ე ლ ე ფ ო ნ ი № 590.

სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით, ცალკე ნომრებით და საერთო ოთახები განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.

მწოლიარე ავადმყოფთა მიღება შეიძლება ყოველ წამს, გარეშე მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი **ექიმები-სპეციალისტები:**

შინაგანი სნეულებანი.	მანსვეტაშვილი ვ. მ. ორშაბ., ოთხშ. და პარასკ. 2—3 ს. მალალაშვილი გ. ზ. სამშაბ. და შაბათობით 10—12. მიქელაძე შ. ა. ყოველ დღე 12½—.. ს. ფედოროვი ე. გ. ყოველ დღე, გარდა ოთხშ. და კვირისა 12—1. ექ.-ქალ. ენგელ მელიქ-შახნაზაროვისა ე. ა. სამ., ხუთ., შაბ. 11—12
ქირურგ. სნეულებანი.	მარკევიჩი ვ. ლ. კონსულტანტი ყოველ დღე 11½—12½. მელიქიშვილი ნ. ა. ყოველ დღე 10—1. ფირადოვი რ. ბ. ყოველ დღე 12—1.
ქალთა და სამშობ. სნეულებანი	ექიმი-ქალი ვერბიცკი-ფირადოვისა ლ. ყოველ დღე 11—12. თიკანაძე ი. მ. ყოველ დღე 1—2. მელიქიშვილი ნ. მ. ყოველ დღე 10—1. სულაკოვი ა. ი. ყოველ დღე 2—1.
ბავშვთა სნეულ.	ექ.-ქალ. ბაძრაძე-დედაბრიშვილისა ყ.-დღე, გარდა ოთხშ. 1—1½. მიქელაძე შ. ა. ყოველ დღე 12½—1. ფედოროვი გ. ს. ყოველ დღე გარდა ოთხშაბ. და კვირისა 12—1.
ნერვიულ. სნეულებ. და ელექ.	გედევანიშვილი. მ ა. შაბათობით 10½—11. ჯავახიშვილი ნ. ნ. ოთხშაბ., პარას. და კვირას 11—12 ფონდოევი გ ს. ყოველ დღე 1—2
ყელ. ყურის და ცხვირ.	ათენიანცი ნ. ა. ყოველ დღე 12½—1½. ორემბოვსკი ნ. ს. ყოველ დღე 1½—2.
თვალის სნეულ.	მუსხელიშვილი ვ. ს. ორშაბათ., ოთხშ. და პარასკ. 2—2½.
კან. და ვენერ. ავ.	დიასამიძე ა. ნ. ყოველ დღე 11½—12½.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი სამიკროქიმიო და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორია, სისხლის გასინჯვა, ათაშანგ. **Wassermann.** რჩევისათვის 50 კ. საწოლები 2 მ. დაწყებული. ცალკე ოთახი 5 მანეთიდან. მშობიარობა 10 დღე წოლით ღირს 40 მ. ოპერაციები, კონსულიუმი, შარდის ბუშტისა და მილების კატეტერიზაცია, **,,606''** და **,,914'' წამლის შეშხაპუნება,** ელექტრონით წამლ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა, შეღავათიანი საფასურით. წ. 1035

,,თემი '-ს გამოცემა

ს. აბაშელის ლექსთა კრებული

„მზის სიცილი“

ავტორის სურათით და გ. ივ. გომართლის კრიტიკული წერილით,

ფ ა ს ი 50 კ ა პ.

ვინც გამოიწერს ფასდადებით არა ნაკლებ 10 ცალისა, მას დაეთმობა 25%, საკომისიოდ—20%.

1380 მისამართი: გაზ. „თემის“ კანტორა, ოლგის ქ. № 4.

გულწრფელად ვიზიარებ ჩემის დის პელაგიას მწუხარებას მისი დაუვიწყარი მეუღლის **ალექსი კულულაშვილის** გარდაცვალების გამო. მით უმეტეს ვწუხვარ, რომ საშუალება არა მქონდა დაკრძალვას დავწრებოდი.

1387 **მიხეილ სხირტლაძე.**

გულითადს მწუხარებას განიცდის **ვასო ალექსის ძე კულულაშვილი** თავის მშობლის **ალექსი დიმიტრის ძე კულულაშვილის** გარდაცვალების გამო. მით უმეტეს დამწუხრებულია, რომ მამის დაკრძალვას ვერ დაესწრო. 1387

საბურთალოზე

მშვენიერ ალაგას

ახლად აშენებულ ეკლესიისა და ჩიდუბის მომავალ ხიდის მახლობლად **დაიჭრა 20 დესეტინა მამული** და იყიდება წვრილ ნაჭრებად ხელმისაწვდენელ ფასებში.

მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ ოლღას ქუჩაზე, სახლი № 6, სოლომონ ივანეს ძე **თაქთაქიშვილს,** დილის 8 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. საღამოს 5 საათიდან 8 საათამდე. უმორჩილესად ვთხოვთ მიწის მყიდველებს, რომ **თავის დროზე შემოიტანონ დარჩენილი ვალი,** თანახმად ჩვენგან მიცემულ კვიტანციისა. წ. 1220

ვაგზლის კერძო სამკურნალო

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვაგზლის ქუჩა. № 8. ტელეფონი № 695.

ე. ს. ვაშაკიძე. ყოველ დღე, შინაგან-ავადმყ. 9½ ს. 10 ს.

ა. ნ. დიასამიძე. ყოვ. დღე, კვირ. გარდა. სიფილ., კანისა და ვენერ. 11—11½ ს.

ბ. ა. პოპოვი. ყოვ. დღე, კვირის გარდა. ყელ. ყურ. და ცხვ. სნეულ. 11—11½ ს.

ექ. ქალი იოსელიანისა—იღებს ქალთა ავადმყოფებს. სამშაბათობით, ხუთშაბათობით და კვირაობით 11—11½ ს.

ნ. მ. მელიქიშვილი. ქირურგიული და ქალთა ავადმყ. 1—2 ს.

ვ. ვ. კლდიაშვილი. ყ.-დღ. შინაგ. ავადმყოფ. 1—2 ს.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური, ქიმიური გამოკვლევანი· აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა ფასი რჩევისათვის 50 კ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით.

წამლობა ,,606''-ით 1035

ექიმი ი. ი. ბერიშვილი სწამლობს **საშარდე ორგანოთა, ათაშანგისა ‍დ კანის ავადმყ.; ვასსერმანის** რეაქციით იკვლ. ათაშანგ. მოწამლ. სისხლს. მიღება ნაშუადღ. 3—5½ ს. ელისაბედის ქ., № 94, კიროჩნი ქუჩის ახლო, საფოსტო განყოფ. პირდაპირ. 102

დოქტორი მედიცინისა

გ. ა. ახვერდოვი,

პეტერბურგის სიფილისისა და ვენერიულ ავადმყოფობათა კლინიკის ყოფილი ორდინატორი, იღებს საშარდის, ვენერიულისა და სიფილისიან ავადმყ. დილ. 12—1 ს., საღ. 6—8 ს. **ხემიონთვის ქ.,** № 18, (ვორონცოვის ძეგლის მახლობ.), ექიმ. ბინა—ხემიონ. ქ., № 16. 1159

კბილის **ექიმი ა. გ. ხოლოდაშვილი** იღებს ავადმყოფებს **აბასთუმანში.**

ექიმი კბილისა და ღრძილებისა **ძ ა ჯ ა ი ა** იღებს ავადმყოფებს დილის 8-დან საღამოს 7 საათამდე. ვაგზლის ქუჩა, № 10. 1388

ექიმი ნ. ნ. ჯავახიშვილი ორდინატორად ნამყოფი კიევის ნერვების კლინიკაში. იღებს ნერვებით ავადმყოფებს საღ. 6—7 ს.-მდე. ჩერქეზიშვილის ქუჩა, № 12. **იქვე გამართულია ელექტრონის სამკურნალო კაბინეტი.** 408

ახალი ამბავი

ტფილისი

◆ **კავკასიის ნამესტნიკმა გრ. ვორონცოვ-დაშკოვმა,** სახალხო განათლების სამინისტროს შეკითხვის გამო, წარადგინა თავისი განმარტებანი კავკასიაში უმაღლეს სასწავლებლის გახსნის გამო. ნამესტნიკს ის აზრი გამოუთქვამს, რომ კავკასიაში უმაღლეს სასწავლებლის გახსნა ერთ უახლოეს და უსაჭიროეს საქმეს წარმოადგენსო. სახალხო განათლების სამინისტრო, სკოლების გახსნის სხვა პროექტებთან ერთად, შეუდგა აგრეთვე კავკასიაში უნივერსიტეტის დაწესების გეგმის დამუშავებს. „გაზეთ „დენი“ს სიტყვით, ჯერჯერობით განზრახულია იურიდიულისა და საფიზიკო-სამათემატიკო ფაკულტეტების გახსნა. უკანასკნელ ფაკულტეტთან იქნება აგრეთვე საბუნებისმეტყველო განყოფილებაც.

◆ **საინტენდანტო სამმართველოს რევიზია.** როგორც გავიგეთ, საბოლოოდ გადაწყვეტილია, რევიზია გაუკეთონ ტფ. საინტენდანტო სამმართველოს. რევიზორებს პეტერბურგიდან ამ დღეებში მოელიან.

◆ **ბიბლიოთეკა.** ქ. შ. წ.-კითხვის გამარც. საზოგადოება ქვემო მაჩხაანში ბიბლიოთეკა-სამკითხველოს აარსებს.

◆ **მებამბეობა,** მიწად მოქმედების დეპარტამენტმა ფული გადადო იმისისთვის. რომ მომავალ წელს ერევნისა, განჯისა და ბაქოს გუბერნიაში და დაღესტნის ოლქში მებამბეობის საცდელი მინდვრები დაარსდეს.

◆ **ტრამვაი.** დღეს, 10 ივლისს, ტრამვაის ვაგონების ტორმუზებს გამოსცდიან. გამოცდას ქალაქის თვითმმართველობის მხრივ დასწრება ინჟენერი აბესალომოვი.

◆ **სენატორი ე. ა. ვატაცი,** მეფის მოადგილის თანაშემწე, რომელიც სამსახურის საქმეთა გამო ერევნის გუბერნიას იყო წასული, ტფილისს დაბრუნდა.

◆ **ჩოხატაურის პოლიციის მოქმედების შესამოწმებლად** მეფის მოადგილის განკარგულებით ამ დღეებში იგზავნება საგანგებო მოხელე ბ-ნი შინგროვსკი.

◆ **მებანბეობის** ინსტრუქტორი მედემი ბორჩალოსა და სიღნაღის მაზრას იგზავნება მებამბეობის მდგომარეობის გამოსარკვევად.

◆ **ფრინველთა მომშენებელმა კავკასიის საზოგადოებამ** შუამდგომლობა აღძრა, გადაეცეს მას სამაგალითო საქათმე, რომელიც მიწად-მოქმედების დეპარტამენტმა თავის ხარჯით დაარსა კავკასიის საავრეშუმო სადგურთან.

◆ **ქალაქის სამიწისმზომლო განყოფილებაში** ამ ჟამად ადგენენ ვრცელს გეგმას საქალაქო მიწებისას. გეგმაში შედის ყველა ის საქალაქო მიწაც, რომელიც სადაოა, რომელიც სამხედრო უწყებას უჭირავს, რკინის გზას ჩამოურთმევია ან ვისმე ძალით მიუთვისებია.

◆ ამას წინად ტფილისში გზად იყო **სპარსეთის სახალხო განათლების მინისტრი პრინცი მირზა რიზა-ხან არფაუდ დოულე,** რომელიც ტფილისიდან ბაქოს და შემდეგ სპარსეთს გაემგზავრა. მინისტრს აზრად ჰქონია, სწავლა-განათლების გავრცელების საქმეში განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს პრაქტიკულ ცოდნით აღჭურვილ პირთა აღზრდას. განზრახვა ჰქონია, სპარსეთში დაბალი საპროფესიო სკოლები დაარსოს და ჯერ-ჯერობით არ გამოუდგეს საშუალო და უმაღლეს სასწავლებლების დაარსებას. საშუალო განათლების მისაღებად მინისტრი მოსწავლეთ სპარსეთიდან გამოგზავნის ტფილისისა და ბაქოს სატეხნიკო და სახელოსნო სასწავლებლებში. მინისტრს უკვე მოლაპარაკება ჰქონდა ამ საგნის შესახებ ტფილისის სკოლებთან, რომელნიც დასთანხმდენ სპარსელი მოსწავლენი დიდის შეღავათით მიიღონ, თვითეული კაცი 240 მან. წელიწადში. ბაქოს სასწავლებლები 180 მან. დასთანხმებულან.

◆ **კავკასიის შინა-მრეწველობის კომიტეტმა** შინა-მრეწველობის ნაწარმოებთა საწყობი დაარსა. საწყობს დიდის ყურადღებით ათვალიერებენ უფრო ტურისტები. ამას წინად საწყობი დაათვალიერეს ინგლისელმა ტურისტებმა, რომელნიც განსაკუთრებით დაინტერესა იმ ნაწარმოებმა, რომელსაც საეთნოგრაფიო ხასიათი აქვს. შინა-მრეწველობის მრავალი ნაწარმოები კიდეც იყიდეს.

◆ **მფრინავი ბ. ს, ქებურია** კვირას, 7 ივლისს, აღარ გაფრენილა, რადგანაც ძლიერ ქარი ჰქრიდა.

◆ **სასკოლო მიწა.** ქალაქის გამგეობამ დაადგინა, ვერაზე, საქალაქო სკოლის შენობის ასაგებად (ჯვარისა და ვერის დაღმართს შუა) 400 ოთხკუთხი საჟენი მიწა შეიძინოს მიწის მოძებნას უკვე შეუდგა.

◆ **მეაბრეშუმეობა.** განზრახულია, მოკლე ხანში კავკასიაში ექვსი სააბრეშუმო პუნქტი დაარსონ თუთის სანერგეებით. პუნქტები უნდა დაარსდეს: 1) ნუხისა, ან არეშის მაზრაში, 2) შუშის მაზრაში, 3) განჯისა, 4) ბაქოსი, 5) ერევნისა და 6) სტავროპოლის გუბერნიებში. თვითეულ პუნქტს ორი დესეტინა მიწა ექნება და ეყოლება თითო ინსტრუქტორი. ამ პუნქტების დანიშნულება იქნება: შემოწმება აბრეშუმის თესლისა, ავადმყოფობათა გამოკვლევა მეაბრეშუმეობის გავრცელებისათვის ხელის შეწყობა და საერთოდ მცხოვრებთათვის სხვა და სხვა საბრეშუმო ცოდნის მიწოდება.

◆ **პოლიტეხნიკუმი.** საუწყებათაშორის კომისიამ, სულ დაასრულა საბურთალოსი, ნავთლუღისა და ლოტკისგორის მიწების გარეგნული დათვალიერება. კომისია სპეციალისტების დახმარებით ახლა მიწების თვისების დაწვრილებით გამოკვლევას შეუდგება.

◆ **სასანიტარო დათვალიერება.** 8 ივლისს სასანიტარო კომისიამ ექიმის მირაქოვისა და ფერშლის ქიტიშვილის მონაწილეობით ვაგზლის ქუჩაზე მდებარე სავაჭრო-სამრეწველო დაწესებულებანი დაათვალიერა. ერთს საყასბოში (ვაგზლის ქ., 24) ერთ ფუთამდე უვარგისი ხორცი აღმოაჩინა. აგრეთვე აღმოაჩინა 9 ფუთამდე უვარგისი გამომცხვარი პური. დამნაშავეებს სამართალში აძლევენ.

გუშინ სასანიტარო კომისიამ სასანიტარო ექიმის გ. ნათიშვილისა, ფერშლის ძიძიშვილისა, ბოქაულისა და სხვების მონაწილეობით ნაძალადევში დაწვრილებით დაათვალიერა სავაჭრო-სამრეწველო დაწესებულებანი. კომისიამ ბევრგან უვარგისი ხილი აღმოაჩინა და მოსპო.

◆ **საბირჟო ცნობები.** 9 ივლისს, ტფილისში შეთანხმება არ მომხდარა. პროცენტიან ქაღალდების ფასი შემდეგი იყო: ტფ. ქალაქის საკრედიტ. საზოგადოების 5% ობლიგაციებისა: აფასებენ- 85 მან. 30 კ., აძლევდნენ —84 მან., 50 კ. ტფ. სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის 5% გირავნობის ფურცლებისა: აფასებენ —83 მ. 20 კ., აძლევენ—82 მ. 30 კ., ქუთაისის სათავ.-აზნაურო საადგილ მამულ. ბანკის 5% გირავნობის ფურცლებისა: აფასებდნენ—81 მ., აძლევდნენ—80 მ. 10 კ., და სახელმწ. მომგებიან ბილეთებისა: პირველ სესხისა —471 მ., მეორისა—343 მ. და მესამისა—316 მან.

◆ ტფ. გუბერნატორმა დაამტკიცა ტფ. ქართველ ქალთა საზოგადოების წესდება.

საზოგადოებანი და კრებები

◆ **„თეთრის ყვავილის“ სამზრუნველოს** კრება 5 ივლისს მოხდა. სამზრუნველომ დაადგინა, რადგანაც ტფილისში ბევრია ისეთი ავადმყოფი, რომელსაც ჰაერით წამლობა ესაჭიროება, ამიტომ ამ საქმისთვის გადადებულ ფულს მიემატოს კიდევ 451 მან. ამის შემდეგ სამზრუნველომ აღიარა, რომ სიმართლეს მოკლებულია ზოგიერთ გაზეთში (ზაკ. რ. და კურ. კ.) მოთავსებული ცნობა. ვითომც „თეთრის ყვავილის“ ამბულატორიაში უწესოება სუფევდეს და კერძო ამბულატორიის გამგე ექიმი რ. დავითიანცი ურიგოდ განაგებდეს საქმეს.

◆ ქალაქის გამგეობის თაოსნობით 11 ივლისს მოწვეულ იქნება საგანგებო თათბირი ქალაქის ტეხნიკოსისა უფროს სავაჭრო-სამეურნეო მეთვალყურისა, პოლიციისა და ქალაქის საბჭოს სამეურნეო კომისიის წარმომადგენელთა მონაწილეობით. თათბირმა უნდა განიხილოს საკითხი აგურის ქარხნის წარმოების საქმის მოწესრიგების შესახებ.

სასწავლებლებში

◆ **საშუალო სამეურნეო სასწავლებლები.** ამას წინად ტფილისში მომხდარმა სააგრონომიო თათბირმა საჭიროდ აღიარა, დაარსდეს კავკასიაში ორი საშუალო სასოფლო-სამეურნეო სასწავლებელი. ამ აზრის განსახორციელებლად კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველი უკვე შეუდგა მესაფერ თავისუფალ სახაზინო მიწების ძებნას.

◆ **კუკიის საქალაქო სკოლისთვის** ქალაქის საბჭოს სასკოლო კომისია ამ ჟამად ქალაქის მეცხრე უბანში შენობას დაეძებს.

სომეხთა ცხოვრება

◆ **ძველ მონასტრების აღდგენა.** სომეხთა საეპარქიო უფროსმა ეპისკოპოსმა მესროპმა შეწირულებანი მიიღო—560 მან.—სანაინისა და ახპატის ძველ მონასტრების აღსადგენად. ამ აზრის სისრულეში მოსაყვანად ეპისკოპოსი მესროპი გუშინ ხუროთმოძღვრით სანაინს გაემგზავრა.

◆ სომეხთა ეპისკოპოსმა მესროპმა შუამდგომლობა აღძრა ქალაქის გამგეობის წინაშე, დაუთმოს ნაძალადევში საქალაქო მიწა სომეხთა ეკლესიის ასაშენებლად.

რკინის გზებზე

◆ **იარაღი მატარებელში.** 7 ივლისს, ღამის 12 საათზე, ტფ. სადგურზე, ბოქოსაკენ მიმავალ მატარებელში დააპატიმრეს ყაზახის მცხოვრებნი არ. პ. ალექსანიანცი და არ. პ. მაჩგალიანცი, რომელთაც თოფები და პატრონები მიჰქონდათ ფარულად.

ბ ო რ ი.

◆ **ყაჩაღის მოკვლა.** 6 ივლისს, ღამით, სოფ. თელათგორზე გზად გაიარეს დუშეთის მაზრის ჩაფრებმა, რომლებმაც ერთის აზნაურის სახლში ყაჩაღი ჩუგუაშვილი აღმოაჩინეს. ყაჩაღმა მოასწრო სოფლის გზირის მოკვლა და შემდეგ თვითონაც მოკლულ იქმნა ჩაფრებისაგან. ჩუგუაშვილი ამ რვა წლის წინად გავარდა ყაჩაღად და დუშეთის მაზრაში დათარეშობდა.

◆ პარასკევს, 5 ივლისს. საღამოს 6 საათზე მცხოვრებლების ყურადღება ძიიპყრო ჰაერში მფრინავმა ბურთმა, რომელიც ჰაეროპლანი უნდა ყოფილიყო, დარგან ნათლად მოსჩანდა ჰაეროპლანის ფრთები და ბოლო. უცნობი ჰაეროპლანი დასავლეთ - ჩრდილოეთისკენ გაფრინდა. აივნებიდან ხალხი დიდხანს ადევნებდა მას თვალს.

◆ კვირას, 7 ივლისს, ჩამოასვენეს სოფ. ახალქალაქიდან შეტაკების დროს **დახოცილი ერთი საერობო დარაჯი და ერთი ყაჩაღი.** ეს უკანასკნელი, როგორც ამბობენ,

ვერავინ იცნო, თუმცა ბევრ ხალხს აჩვენეს. გადაიღეს სურათი. ყაჩაღს მკლავი აქვს მოტეხილი. ხალათ-ქვეშ აღმოსჩენია ორას პატრონზე მეტი და იარაღი. საერობო დარაჯი რვა ტყვიით არის მოკლული. გაჩრისა და შემოწმების შემდეგ ეს უკანასკნელი ნათესავებმა წაასვენეს სოფელში, ხოლო ყაჩაღის გვამი წაიღეს სოფ. ხიდისთავში დასასაფლავებლად.

◆ „ქართლი"-ს სტამბაში იბეჭდება და მალე გამოვა გასასყიდად ჩვენი ბელეტრისტის ანასტასია ერისთავ-ხოშტარიას ნაწერების მეორე ტომი, რომელშიაც მოთავსებული იქნება „ბედის ტრიალი" და სხვა მოთხრობები.

◆ დიდძალი ხალხი ეტანება **გოგირდის აბანოს**, რომელიც გამართულია გორიჯვრის მთის ძირში, რკინის გზის ნაპირას. მოდიან შორიდანაც **ქარიანები** და, როგორც თვითონ ამბობენ, საკმაო შვებასა გრძნობენ აქ ბანაობის შემდეგ. სამწუხაროდ აბანო ცუდად არის მოწყობილი.

◆ ამას წინად კლუბის ბაღში რამდენიმე ქართველ სტუდენტის თაოსნობით გაიმართა „საღამო—კაბარე" პეტერბურგის უნივერსიტეტის ქართულ სათვისტომოს ღარიბ წევრთა სასარგებლოდ. საღამოს, როგორც გადმოგვცეს, შემოსავალი კარგი ჰქონია, მხოლოდ სუსტი ყოფილა შინაარსის მხრივ.

◆ კვირას, 7 ივლისს, საღამოთი, ლიახვში ბანაობის დროს დაიხრჩო ერთი ყმაწვილი 17—18 წლისა. გვამი მაშინვე იპოვეს.

სურამი

◆ **ქალის გატაცება.** სოფ. ცედანში მათია გოგალაძის სახლს დაეცა ოთხი შეიარაღებული უცნობი და გოგალაძის 17 წლის ქალი დარო გაიტაცეს. უცნობთ სოფლელნი დაედევნენ და სოფლის ბოლოს მოტაცებული ქალი გაანთავისუფლეს.

სოფლად

◆ **ქარელი** (გორის მაზრა). 20 ივლისს ქართულ დრამატიულ კურსების მოწაფე პ. ფრანგიშვილი წარმოდგენას მართავს საკონცერტო განყოფილებით. მთელს შემოსავალს სწირავს ქარელისა და ხვედურეთის სკოლებს.

შეცდომის გასწორება. გუშინდელ ნომერში დაბეჭდილ წერილში „გაჭირვება უწყალობისა გამო" შეცდომით ნათქვამია: ვედრო წყალი ორ კაპეიკად უნდა ჰყიდონო, უნდა იყოს: **4 ვედრო ერთ კაპეიკად.**

„სიცოცხლეში ტანჯვა, სიკვდილის შემდეგ დიდება..."

ჩვენი მკითხველები ბ-ნ სიტყვას წერილიდან კარგად დაინახავდნენ, თუ რა უმწეო მდგომარეობაში იმყოფება ჩვენი პოეტი **იროდიონ ევდოშვილი**. მთელი მისი სიცოცხლე ტანჯვა-წვალება არის და შედეგად მას მოჰყვა ულმობელი სენი, რომელ'აც ვერ გაუძლო ადამიანმა და ლოგინად ჩავარდნილი ებრძვის მას; ყოველ მოვლას, საჭირო წამლობას და პირობებს მოკლებული, ნივთიერად ძლიერ ცუდ მდგომარეობაში მყოფი ავადმყოფი შესძლებს სენის გამკლავებას?

განა მარტო იროდიონ ევდოშვილია ასეთ მდგომარეობაში? სამწუხაროდ არა. ჩვენი პოეტების, მწერლების თუ პუბლიცისტების უმრავლესობა ესეთსავე მდგომარეობას განიცდის. მათ აუტანელ პირობებში უხდებათ მუშაობა. უსახსრობისა გამო დღიური ლუკმა პურის მოსაპოვებლად იძულებულნი არიან რაიმე კერძო სამუშაოს მოჰკიდონ ხელი. ასეთ მდგომარეობაში წერა შეუძლებელია და თუ მაინც ხერხდება რამე, ეს ჩვენი მწერლების საოცარს ნიჭს უნდა მივაწეროთ. ამიტომაც არის, რომ ისინი ადრე ავადმყოფდებიან და წუთის სოფელს ადრევე ესალმებიან. სანამ ცოცხალია ადამიანი ჩვენი საზოგადოება მას არავითარ ყურადღებას არ აქცევს, როგორც სამართლიანად აღნიშნა ბ ნმა სიტყვამ, და გარდაიცვლება თუ არა, შეიქნება ერთი აურ-ზაური, წერილები, სამგლოვიარო დეპეშები, გვირგვინები, ძვირფასი დასაფლავება, რომელთა ფასი შეიძლება სიკვდილს გადაარჩენდა განსვენებულს.

დროა, ბოლო მოეღოს ამას დროა საჩვენებელი ხასიათი მოსცილდეს ჩვენებურ ქველმოქმედებას და ნამდვილ დონეზე დავაყენოთ იგი. თუ კი პოეტი, მწერალი ან ბელეტრისტი ეროვნულ საქმეს ემსახურება, მის ბედ-შავობას დასტირის, მის ბედნიერებას შეჰხარის, საჭიროა და სამართლიანიც, რომ საზოგადოებამ მას მოუაროს, და ცოტაოდენი სიტკბოება სიცოცხლეშივე აგემოს. შეუძლებელია ისეთი შემწეობისა და დახმარების აღმოჩენა, როგორც ჩვენ ვიცით; შეუძლებელია ისეთი მოპყრობა, როგორც ჩვენ ვეპყრობით ჩვენს საზოგადო მოღვაწეებს. მხოლოდ მაშინ გამოვიღებთ ხოლმე ორიოდე გროშს, როდესაც საქმე გართულდება და ავადმყოფობა კაცს ლოგინამდე მიიყვანს. ყოველ კულტურულ ერს აქვს შესაფერი საზოგადოება, რომლის დანიშნულებაა დაეხმაროს ხელმოკლე და უმწეო პოეტებს მწერლებს, და პუბლიცისტებს. ჩვენ კი ასეთ საზოგადოებისათვის ჯერ არ გვიფიქრია. ჩვენის აზრით, ფრიად საჭიროა და სასარგებლო ასეთი საზოგადოების დაარსება მით უმეტეს ჩვენთვის, ქართველებისათვის.

სიტყვა-კაზმული მწერლობას საზოგადოება იქნება, თუ სხვა კერძო ვინმე ამის მეთაური—ეს სულ ერთია. მხოლოდ დარწმუნებული ვართ, რომ ყოველი ქართველი მზად იქნება თავისი წვლილი მიაწოდოს მას. ყოველმა ჩვენგანმა წლიურად ორი ან სამი მანეთი, რომ გამოიღოს, პირველ ხანად საკმაო თანხა შესდგება სადმე პაწაწა სანატორიუმის მოსაწყობად. შემდეგში კი თანხაც გაიზრდება და საქმის გაფართოებაც შეიძლება. მაშინ საზოგადოებასაც აღარ მოუხდება მუდამ დღე ახალ ამბავში კითხვა: ესა და ეს სიკვდილს ებრძვის ან შიმშილით კვდება და შეეწიეთო. და ხელმოკლე ბედშავი მწერლებიც დაინახავენ, რომ სამშობლო მათს ღვაწლს ცოტათი მაინც აფასებს.

კორდელი.

მწარმოებელი კოოპერაცია ინგლისში

(დასასრული *)

საკუთარი საქონლის მომზადებას დღეს დიდი ადგილი უკავია ინგლისის მომხმარებელ საზოგადოებათა ცხოვრებაში. 1430 მომხმარებელ კოოპერაციიდან 976 აქვს საკუთარი მწარმოებელი განყოფილება. საოცარის სისწრაფით იზრდება იმის მისწრაფება, რომ საზოგადო მაღაზიებს საკუთარი საქონელი მიაწოდონ: უკანასკნელ ათი წლის განმავლობაში იმ მომხმარებელ საზოგადოებათა რიცხვი, რომელთაც საკუთარი წარმოება აქვთ, $1^{1}/_{2}$-ჯერ გამრავლდა, მაშინ როდესაც საერთო რიცხვი მომხმარებელ საზოგადოებათა შემცირდა. საკუთარი წარმოების ღირებულება სამჯერ გამრავლდა, 1909 წ. გაყიდულ საქონლიდან ერთი მეექვსედი დამზადებული იყო საკუთარ ქარხნებსა და სახელოსნოებში.

მომხმარებელ საზოგადოების წარმოებაში მომუშავეთა რიცხვმა ათი წლის განმავლობაში იმატა 64%, ხოლო მათ მიერ მიღებულმა ქირამ 87%. დღიური ქირა და სამუშაო დრო ისეთია, როგორც საზოგადოდ სხვაგან. რაც შეეხება მუშების მონაწილეობას მოგებაში, 1909 წელს საშუალოდ მუშებმა მიიღეს თავის ქირაზე $4^{1}/_{2}$%.

პარტიობით მყიდველ საზოგადოებათა საკუთარი წარმოებაც ისე სისწრაფით ვითარდება, როგორც მომხმარებელ საზოგადოებათა: მათ მუშათა რიცხვმა იმატა $1^{1}/_{2}$ ჯერ, ხოლო საკუთარ ნაწარმოების ღირებულებამ სამჯერ. შოტლანდიური საზოგადოება აძლევს მუშებს 6% სამუშაო ქირაზე.

რაც შეეხება მომხმარებელთა განსაკუთრებულ ორგანიზაციების მიერ მოწყობილ 39 წარმოებას, აქ 1909 წ. იყო 5 წისქვილი და 22 ფურნე, მუშები—2,251, ნაწარმოების ღირებულება უდრიდა 20 მილ. მანეთს. წინააღმდეგ მომხმარებელ საზოგადოებათა პირდაპირ მწარმოებლებისთვის შექმნილი მუშათა ასოციაციების რიცხვი ძლიერ მცირეა და ნაკლებადაც ვითარდება, ათი წლის განმავლობაში მათი რიცხვი (103) თითქმის უცვლელია. ამ კოოპერაციებში მუშაობს 7047 მუშა, 8%-ით მეტი, ვიდრე მუშაობდა ათი წლის წინად, ხოლო ნაწარმოებმა იმატა 24%. თუმცა ეს კოოპერაციები დაარსებულია მუშების ინტერესებისთვის, მაგრამ წევრებად ირიცხებიან სხვებიც; მუშები უმცირესობასაც შეადგენენ—16%, $^{2}/_{3}$—გარეშე პირებია და 17%—მომხმარებელი საზოგადოებანი. ამის კვალობაზე მუშების მონაწილეობა საწარმოო თანხაში მცირეა: მათ ეკუთვნის მხოლოდ 11%, არა მუშებს—38%, მომხმარებელ საზოგადოებებს 37%, 14% კი ნასესხებია კერძო პირებისა და დაწესებულებისაგან. ცხადია, რომ საქმეების მართვა-გამგეობაში არა მუშებიც იღებენ მონაწილეობას: კოოპერაციების ერთს მესამედში შეადგენენ მუშები გამგეობის უმრავლესობას და დანარჩენში კი სრულებით არ იღებენ მონაწილეობას გამგეობაში. გარდა ამისა ამგვარ კოოპერაციების წარმოებაში მომუშავენი ყველანი არ არიან კოოპერაციების წევრები, 215 - გარედან ნაქირავებია.

ქონებრივი მდგომარეობა მუშათა კოოპერაციების არ არის მაინცა და მაინც კარგი: 1909 წელი 30%-ისთვის ზარალით გათავდა, დანარჩენების მოგება მცირედი ჰქონდათ.

უმრავლესობა მუშათა ორგანიზაციებისა და ნაწილი მომხმარებელ საზოგადოებათა მოწყობილია, როგორც ვსთქვით ზემოდ, კოპარტნერშიპის სისტემით. ამ სისტემის თეორეტიკოსების აზრით, ყოველს კოოპერატიულ წარმოებაში მონაწილეობას იღებს სამი ფაქტორი: კაპიტალი, შრომა და მოხმარება. ყველასი მონაწილეობა აუცილებელი საჭიროა კოოპერატივის წარმატებისათვის, ამიტომ მოგება და მართველობა ყველამ თანასწორად უნდა გაინაწილონ. მაგრამ სინამდვილე უმეტეს შემთხვევაში არ ეთანხმება თეორიას და მოგების დიდი წილი მიაქვს მომხმარებელს, მერე კაპიტალისტს და ბოლოს მუშას.

მონაწილეობა გამოიხატება არა მარტო მოგების განაწილებაში. კოოპერაციის საკუთარი თანხა შესდგება ყველაზე უწინარეს პაიებისაგან და ყოველივე მონაწილეს—კერძო პირია იგი თუ საზოგადოება—უნდა ჰქონდეს ერთი პაი მაინც. თუმცა პაი დიდი არაა (ათი მანეთი), მაგრამ ხშირად საჭირო ხდება მისი შევსება მოგებიდან. რათა კოოპერაცია შებორკილი არ იყოს მსხვილი კაპიტალისაგან, განსაზღვრულია პაების რაოდენობა, რომლის მეტი არ შეუძლია მეიძინოს ერთმა წევრმა.

პაის პატრონი მონაწილეობას იღებს საქმეების მართვაში. ყველგან მიღებულია წესად, რომ ერთს კაცს ერთი ხმა ჰქონდეს, მაგრამ იურიდიული პირები (საზოგადოებანი) შეადგენენ ამ შემთხვევაში გამონაკლისს: მათ გარდა ძირითადი ხმისა აქვთ კიდევ დამატებითი ხმები წევრების ან პაიების რიცხვის კვალობაზე. ყოველი წევრი შეიძლება არჩეულ იქმნეს გამგეობაში. კოოპერაციაში მომუშავეს ან მოსამსახურეს წევრს აქვს ისეთივე უფლება, როგორც ყოველს სხვა წევრს. შოტლანდიის კოოპერაციების განსაკუთრებულ თვისებას შეადგენს ის, რომ იქ მუშები მონაწილეობას იღებენ გამგეობაში არა როგორც ცალკე წევრები, არამედ როგორც ერთი კრებული, რომელსაც აქვს ერთი ძირითადი და რამდენიმე დამატებითი ხმა.

იბადება საკითხი, როგორ მოქმედობს კოპარტნერშიპის პრინციპი წარმოების ფინანსიურ მდგომარეობაზე. დემოკრატიული საფუძველი რამე უპირატესობას აძლევს საქმეს, თუ ვნებს? ამის შესახებ ჯერ-ჯერობით დაწვრილებითი ცნობები არაა შეკრებილი, მაგრამ ზოგიერთი მასალა 82 ორგანიზაციის შესახებ, სადაც მონაწილეობას იღებენ მუშები, და 59 ორგანიზაციის შესახებ, სადაც მუშები არ იღებენ მონაწილეობას, არ ამტკიცებს კოპარტნერშიპის მავნებლობას. პირიქით, ამ სისტემით მოწყობილს კოოპერაციებში კაპიტალი უფრო სწრაფად მოძრაობს და ამიტომ მოგებაც მეტია.

ზემო მოყვანილი მოკლე ცნობები ცხადჰყოფენ, რომ მომხმარებელ საზოგადოებათა შინაგანი განვითარება შეიძლება გამოიხატოს საკუთარი წარმოების განვითარებაში, და რაც უფრო ფართო იქნება ეს წარმოება, მით უფრო მოითხოვს თვითონ მომხმარებელ საზოგადოებათა ინტერესი, რომ მუშები დაინტერესებულნი იყვნენ საქმეში და მონაწილეობას იღებდნენ მოგებასა, თანხასა და მართვა-გამგეობაში. მომხმარებელ საზოგადოებათ შეუძლიათ აგრეთვე ხელი შეუწყონ თავის კაპიტალით დამოუკიდებელი მწარმოებელი კოოპერაციების დაარსებას. ცალკე მუშათა ორგანიზაციების მოწყობა ძნელია მათ დაუხმარებლად, რადგან ამ შემთხვევაში ძნელია ბაზრის უზრუნველყოფა და საჭირო თანხის შოვნაც.

---

*) იხ. „სახ. გაზ." № 938.

ბალკანეთის „პრუსიელები"

(წერილი კონსტანტინეპოლიდან).

ბალკანეთის კავშირის ბრძოლაში ოსმალეთთან ბულგარელებს ხშირად ადარებდნენ პრუსიელებს. ყველას ეგონა, რომ ბულგარეთი ამ ომში ითამაშებდა იმ როლს, რაც პრუსიელებმა—70 წლებში. მაგრამ ეხლა ყველამ დაინახა, რომ ეს შედარება ნაადრევი იყო.

ბულგარეთი წლობით ამზადებდა ბალკანეთის კავშირს ოსმალეთის წინააღმდეგ, რათა სისრულეში მოეყვანა იდეა დიდი ბულგარეთის კვლავ აღორძინებისა. დღეს კი მისმა გუშინდელმა მოკავშირეებმა შეადგინეს მეორე კავშირი მის საწინააღმდეგოდ, რადგანაც გუშინდელმა მეგობრებმა აშკარად დაინახეს მისი ორპირული, ორაზროვანი მოქმედება. გულუბრყვილო მოკავშირეებმა მხოლოდ ეხლა შეიტყეს, რომ მათი მეგობრობა ბულგარეთს მხოლოდ თავის გაუმაძღარი მადის დასაკმაყოფილებლად სჭირდებოდა. მას შემდეგ, რაც მოკავშირეთა თანადახმარებით ბულგარელებმა გაანადგურეს დაუძლურებული ოსმალეთი, სოფიის კაბინეტი ცდილობდა შეენარჩუნებინა უმეტესი ნაწილი ახლად-აღებულ ადგილებისა და შეექმნა ახალი საზღვრები, რომლებიც გაჰყოფდნენ სერბიას და საბერძნეთს, რათა ამით შემდეგში ბულგარეთს უფრო ადვილად შესძლებოდა თავისი გაფართოვების პოლიტიკა ეწარმოებინა.

რამდენადაც თურქების მონობისაგან განთავისუფლება დაიბადა და განვითარდა ბალკანეთის ერების ტანჯულ დემოკრატიის გულში, რამდენადაც ბალკანეთის კავშირის გამარჯვებამ განახორციელა საუკუნოებრივი ეროვნული სულისკვეთება, იმდენად მან ხელი შეუწყო ძლიე-

ცოტა რამ მელიორაციების შესახებ

ერთ ხანად, „სახალხო გაზეთ"-ში ლაპარაკი აღიძრა ქართულ სამელიორაციო თანხის შექმნისა. ამ აზრს ზოგი ქართველი გულმხურვალედ შეეგება, რამდენიმე წერილი და მოწოდება დაიბეჭდა კიდეც, მაგრამ მალე ყველა მიჩუმდა. საქმე თითქოს დაივიწყეს კიდეც. რა არის ამ გაჩუმების მიზეზი, ჩვენ არ ვიცით; შეიძლება ამ გაჩუმებას საპატიო მიზეზი გამოუნახონ, მაგრამ არა გვგონია, იყოს ასეთი რამ. მელიორაციები ისეთი საქმეა, რომ მის შესახებ გაჩუმებას ვერავითარი მიზეზი გაამართლებს. მელიორაციებს ქართველობა ორივე ხელით უნდა ჩაეჭიდოს და ყოველი ღონე იღონოს სამელიორაციო თანხის დასაარსებლად. ჩვენისთანა დავალიანებულ, გაღატაკებულ ხალხის ხსნა, თამამად შეიძლება ითქვას, მელიორაციებშია. მიზეზი ჩვენის სიღარიბისა ის არის, რომ სოფლის მეურნენი ვართ და ამ მეურნეობისა არაფერი გაგვეგება, ჩვენი მამულები თითქმის სულ დაგირავებულია, მიწის შემოსავალი ვალის სარგებლსაც ვერ ასდის და მრავალ ქართველს მამული ხელიდან ეცლება. თუ ასე წავიდა საქმე, შესაძლებელია სულ მოკლე დროში მიწა-წყალი მთლად ხელიდან გამოგვეცალოს და რაც ამას მოჰყვება, ეს ქართულ პრესას ხშირად აღუნიშნავს. ის არაფერი, რომ დავალიანებულნი ვართ. ასეთი ამბავი ყველა ქვეყანას მოჰხდომია, მაგრამ საქმისათვის დროზე უშველნიათ და თავი გადურჩენიათ. საჭიროა მხოლოდ იმ მამულების მობილიზაცია, ავისა და თუ კარგისა, რაც ხელში გვაქვს. მხოლოდ ამ [illegible] შეიძლება მამულისა და მეურნეობის ხსნა. მიწის მობილიზაციის სახსარი კი, სხვათა შორის, და უმთავრესად—მელიორაციებია. თუ რა მნიშვნელობა აქვთ მელიორაციეს, ამას ევროპის მაგალითით დაგვანახვებს. ქვემოდ მოვიტანთ ციფრებს იმისას, თუ რა გაკეთებულა ევროპაში მელიორაციების მხრივ. ეხლა კი თვით მელიორაციებისას ცოტა რამეს მოგახსენებთ.

სამელიორაციო საქმე ევროპაში დიდი ხანია დაიწყო. ამას ჰმოწმობს ის გარემოებაც, რომ, ავსტრიაში 59 ისეთი სამელიორაციო ამხანაგობაა, რომლის დაარსების დროც აღარ ახსოვთ. ბევრი მათგანი ისევ საშუალო საუკუნეების სამართლის ძალით არსებობს. მეთვრამეტე საუკუნის მეორე-ნახევარში მელიორაციებს სახელმწიფოებმა დიდი ყურადღება მიაქციეს, ხოლო მეცხრამეტე საუკუნეში სამელიორაციო საქმე ისე გაძლიერდა, რომ მეოცე საუკუნეს ახლად გაკეთებული ბევრი აღარა დარჩარა. თუ ყველგან და ყველაფერში ასე არ არის, ბევრში მაინც მრავლის მრავალია გაკეთებული.

მაგრამ, რა არის მელიორაცია? **მელიორაცია არის, უმთავრესად, მიწის ისეთი გაუმჯობესება, რომელიც თვით მიწის ბუნებას ჰსცვლის, ჰსცვლის ნიადაგის ხასიათს.** ამ საქმეში პირველობა საწყლო მეურნეობისაა, სახელდობრ: ურწყავ ადგილთა სარწყავად გადაქცევა, ტბაქაობების დაშრობა, *) მდინარეთა რეგულარიზაცია, ნაპირთა გამაგრება და სხვა. მეორე ადგილი ეკუთვნის: ტყის გაშენებას, მინდვრების გასუფთავებას, ქვიან ადგილთა გავარგისებას, სასოფლო-მეურნეობის გასაადვილებლად გზების გაყვანას, ხიდების გადებას და სხვა. ყველაფერი, რაც აქ არის ჩამოთვლილი, რასაკვირველია მამულს და ნიადაგს ხასიათს უცვლის და უმთავრესი მიზანი მელიორაციებისაც ეს არის, ე. ი. **უვარგის მამულთა გამოყენება.** ასე ესმით საერთოდ მელიორაციები ევროპაში. სარუსეთში საქმე სხვანაირად არის. იქ ჯერ ვერ არის გამორკვეული თუ რა არის მელიორაციები. რუსეთის ვერც მეცნიერებს და ვერც პრაქტიკას საბოლოოდ ჯერ ვერ გადუწყვეტიათ ეს საკითხი. რუსის მეცნიერნი სხვა და სხვანაირად უცქერიან საკითხს. მაგ. პროფეს. კაბლუკოვის აზრი ევროპაში განტკიცებულ აზრს ეთანხმება, ამავე აზრისაა პროფ. ვერნერიც. მაგრამ რუსეთში ბევრსა ჰგონია, რომ მელიორაცია არის არა მხოლოდ ისეთი გაუმჯობესება, რომელიც მიწას ბუნებას უცვლის, არამედ ყოველნაირი სასოფლო სამეურნეო გაუმჯობესება. მაგ. ჯიშიან საქონლის შეძენა, მანქანების ყიდვა, სახლების აშენება და სხვა. რუსულ პრაქტიკაში ასე გამოურკვეველია საქმე. სამელიორაციო თანხიდან კრედიტი ეძლევათ არა მარტო იმ საქმეში, რაც მამულს ფასს უმატებს, არამედ ისეთ საქმეშიაც, რასაც მამულის გაუმჯობესებაში საერთო არა აქვს რა. მაგ. ხან რომ ჭაობთა დასაშრობად აძლევენ სესხს სამელიორაციო თანხიდან, ხან იმავე თანხიდან ჯიშიან საქონლის შესაძენად ჰხარჯავენ ფულსა. საჭიროა კია განსაზღვრა იმისი, თუ რა არის მელიორაცია, თორემ საქმე გართულდება და სასურველი ნაყოფი ვერ ექმნება. ისეთ საქმეთათვის, რასაც მიზნად მამულის საფუძვლიანი გაუმჯობესება არა აქვს, წვრილი კრედიტი არსებობს; აი, ამ თანხით უნდა იყოს დაფარული ის ხარჯი, რომელიც თვით მეურნეობას აუმჯობესებენ: მანქანების შეძენა, საქონლის ყიდვა, შენობების აგება და სხვა. მელიორაციები კი თავის-თავად რთული საქმეა და მისი უარესად გართულება არ ვარგა. იმდენად რთულია სამელიორაციო საქმე, რომ ევროპის სახელმწიფონი იძულებული იყვნენ თვით ჩარეოდნენ საქმეს. სირთულე სამელიორაციო საქმისა შემდეგია: 1) საჭიროა დიდი ფული, რაც კერძო პირთ არა აქვთ, 2) მელიორაციები ხშირად კოლექტივობას ითხოვს. ხშირად საჭირო ხოლმე, რომ სამელიორაციო საქმეში რამდენიმე მემამულემ იმონაწილეოს. მაგ. ურწყავ ადგილებში არხების გაყვანა, ჭაობების დაშრობა და სხვ. ყველაფერი ეს კერძო პირთათვის მოუხერხებელია. ამიტომ სახელმწიფონი დახმარების გზას დაადგნენ. მხოლოდ სხვა და სხვა სახელმწიფო სხვა და სხვანაირად ეხმარებოდა ხალხს. ზოგი სახელმწიფო, მაგ. ინგლისი, საქმეში კერძო ინიციატივის გამოწვევასა ცდილობდა; ზოგი კი, მაგ. ავსტრია, პრუსია, საქმეს თვითონ აწარმოებდა. საერთოდ, სამელიორაციო საქმეში სახელმწიფოთა დახმარებას ევროპაში ორი პერიოდი ჰქონია. პირველ პერიოდში მთავრობანი საქმეს საკუთარ ხარჯით აკეთებდნენ, მაგრამ შემდეგ, როდესაც კაპიტალიზმი გაძლიერდა და ახალი კლასები გაჩნდა, საქმე სხვანაირად დატრიალდა: ახალ კლასთა ინტერესები სახელმწიფოს ნებას არ აძლევდა, რომ მას დიდი ფული დაეხარჯა ისეთ საქმეზე, რომელიც უმთავრესადა და უწინარესს ყოვლისა, კერძო პირთ ასარგებლებს და არა მთლად სახელმწიფოს. მელიორაციები კი სწორედ ჯერ კერძო პირთათვის, მამულის მესაკუთრეთათვისაა სასარგებლო დ შემდეგ სახელმწიფოსათვის. ამ დროიდან, ე. ი. კაპიტალიზმის გაძლიერებიდან, იწყება მეორე პერიოდი, როდესაც სახელმწიფოებმა საკუთარ ხარჯით სამელიორაციო საქმეების კეთებას თავი დაანებეს და ახალი საშუალება გამოსძებნეს. სამელიორაციო ინიციატივის წაქეზება. სწორედ ამ მეორე პერიოდში გაკეთდა ყველაფერი; პირველ პერიოდს [illegible] არაფერი შეუქმნია. კერძო სამელიორაციო ინიციატივის წასაქეზებლად მთავრობებმა ოთხი საშუალება იხმარეს:

1) მიეცემა სუბსიდიებისა (დახმარება ფულად) ან უსარგებლოდ, ან საჩუქრად იმათ, ვინც თავის მამულზე სამელიორაციო საქმეს იწყებს.

2) სამელიორაციო კრედიტის დაარსება;

3) სამელიორაციო ამხანაგობათა დაარსება.

4) სამელიორაციო საქმეთა გაადვილება ტეხნიკის მხრივ, ამ მიზნით დაარსებული იქნა სამელიორაციო-სატეხნიკო ბიუროები.

ეხლა ცალკ-ცალკე გავარჩიოთ ეს ოთხი საშუალება.

1) **სუბსიდიები** ევროპაში ძალიან იყო გავრცელებული. ეს საჭირო იყო კერძო პირთა წასაქეზებლად და საქმის გასაადვილებლად. რასაკვირველია მთავრობანი სუბსიდიებს იმდენს იძლეოდნენ, რამდენიც საჭირო იყო მელიორაციებისათვის. უფრო ხშირად მთავრობანი მთელი ხარჯის 10—35 პროც. ეწეოდნენ. დანარჩენს ჰხარჯავდა მესაკუთრე, თემი, ან პროვინცია. თუმცა პროცენტობით ცოტა სჩანს, მაგრამ თავის თავად სუბსიდიები დიდი იყო და სახელმწიფოებმა ბევრი ფული გაიღეს. ამას ქვემოდ დავინახავთ, ციფრებში.

2) **სამელიორაციო კრედიტი** ევროპაში მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში გაჩნდა. ამის მიზეზი ის იყო, რომ ევროპის სასოფლო მეურნეობაში კრიზისი გაჩნდა. მემამულეებს დიდი საჰიპოტეკო *) ვალი აწვათ თავს და სოფლის მეურნეობა ეცემოდა, ვინაიდან მამულის შემოსავალი ვალის თავნსა და სარგებელს მიჰქონდა. მართალია, იმ დროს ევროპაში კაპიტალიზმი უკვე ძლიერ იყო განვითარებული და სახელმწიფოთა არსებობის უმთავრესი წყარო საკაპიტალისტო წარმოება იყო, მაგრამ მთავრობანი მაინც ჰგრძნობდნენ, რომ ეკონომიურ დამოუკიდებლობისათვის საჭიროა სოფლის მეურნეობის განვითარებაც. ამიტომ, რომ არ დაცემულიყო მეურნეობა, საჭირო იყო დავალიანებულ მეურნეთა ხსნა. ეს კი მხოლოდ მამულების გაუმჯობესებით შეიძლებოდა. ეს გაუმჯობესება მამულის ფასსაც ასწევდა და შემოსავალსაც გაადიდებდა. მაგრამ საქმე ფულის შოვნა იყო. მემამულენი ვალით იყვნენ სავსენი და საჰიპოტეკო ვალს ვეღარ იშოვნიდნენ. ამიტომ ახალი რამ გახდა საჭირო და ეს ახალი სამელიორაციო კრედიტი გახლავთ. სამელიორაციო კრედიტის საქმე იმით გაადვილდა, რომ მელიორაციებს ერთი თვისება აქვთ, წინდაწინ შეიძლება გამოანგარიშებული იყოს, თუ რა სარგებლობას მოიტანს მამული მელიორაციის შემდეგ. როცა სჩანს, რომ მამულის შემოსავალი კარგი იქნება, ადვილია სამელიორაციო საქმისათვის კრედიტის შოვნა: ყველა დაუზარებლივ გაიღებს ფულს. საჭიროა მხოლოდ თვალ-ყურის დევნება, რომ სესხად აღებული ფული სწორედ იმ საქმეს მოჰხმარდეს, რა საქმისათვისაც იქმნა აღებული. ამ გარემოებამ სამელიორაციო საკრედიტო დაწესებულებებს შემდეგი უფლებანი მიანიჭა:

1) უფლება სამელიორაციო საქმეთა ხარჯთ-აღრიცხვის და გეგმების წინასწარ გადასინჯვისა, სესხის გამცემმა უნდა იცოდეს რისთვის აძლევს სესხს; მეტს ხომ არა თხოულობენ და სხვა.

2) უფლება ფულის ხარჯვაში თვალ-ყურის დევნებისა—გამსესხებელმა უნდა იცოდეს, მართლა იმ მელიორაციებში იხარჯება ფული, რისთვისაც აღებული იყო, თუ არა. ეს ორი უფლება საჭიროა, რადგანაც სამელიორაციო კრედიტორი ჰიპოტეკას არა თხოულობს და იმედი აქვს, რომ შემოსავალი დაჰფარავს. მაგრამ თუ გამსესხებელმა თვალ-ყური არ ადევნა საქმეს, შეიძლება ფული სულ სხვა რამეზე დაიხარჯოს; მამულს, ისედაც დავალიანებულს, შემოსავალი არ მიემატება, და მსესხებელი ზარალში იქნება.

---

*) მიწის დაშრობა ორნაირია: ერთი მარტივი, როდესაც დაგუბებულ წყალს ღია არხება გაუჭრიან ხოლმე და გზას აძლევენ, მეორეს დრენაჟი ჰქვიან. დრენაჟი ასე კეთდება: მიწაში ჩაალაგებენ ხოლმე თიხის მილებს, ისე კი, რომ მილები ერთი-მეორეს ძალიან არ ეკვრის. დრენაჟი იმით არის კარგი, რომ, ჯერ ერთი ადგილს ყაირათობას 5—7 პროც., ე. ი. ის ადგილი, რაც არხებს უჭირავთ, ტყუილად არა ჰსცდება, და მეორეც ისა, რომ მიწის ქვეშ გაზები უკეთესად მუშაობენ და მოსავლისათვის ამას დიდი მნიშვნელობა აქვს.

*) ჰიპოტეკა—ლათინური სიტყვაა და ჰნიშნავს გირაოს. საჰიპოტეკო ვალი ისეთი ვალია, რომლის უზრუნველსაყოფად გირაოა მიცემული. მაგ. მამულის დაგირავება საჰიპოტეკო ვალს იძლევა.

ტარაზმის გაძლიერებას და ნაციონალურ მხედრულ გაზვიადებულ სიამაყეს. მოულოდნელმა გამარჯვებამ ბულგარეთს თავბრუ დაასხა და იქამდე მიიყვანა, რომ თავის თანამოძმეთ ომი გამოუცხადა...

რუსეთის ჩარევამ მოკავშირეთა კონფლიქტში ვერ მიაღწია თავის მიზანს. ბულგარეთმა მშვიდობიანობით მორიგებას სისხლისღვრა არჩია და აი იქ, სადაც ამ ერთი თვე ნახევრის წინად მოკავშირენი შეერთებული ძალით ძლეულ მტერს ერეკებოდნენ, ეხლა მიწას რწყავს მოძმეთა სისხლი, სისხლი იმ ქრისტიანების, რომლის სახელითაც ვითომ ბალკანეთი მხედრდებოდა ოტომანთა წინააღმდეგ. აი სად გამოჩნდა უკიდურესად საშინელი ცინიზმი თანამედროვე პოლიტიკისა!

ეს კიდევ ცოტაა, რომ გუშინდელი მოკავშირენი ერთმანეთს დაეძგერნენ, აგერ **რუმინია** თავის 600,000 ჯარისკაცით უკვე შეეხო ბულგარეთის მიწა-წყალს და ომიანობის გაჩაღებულ ცეცხლზე ნავთი გადაასხა. რუმინიამ ეხლა იპოვნა დრო კომპენსაციის მოსითხოვნად. რანაირად უცქერის ევროპა ბალკანეთის ამ კარიკატურულ პრუსიელების მიერ გამოწვეულ კრიზისს, ნუ თუ მართლა ევროპის დიპლომატიას არ შეეძლო თავიდან აეცილებინა ეს ახალი სამარცხვინო სისხლის ღვრა? ევროპის ერთი ენერგიული, საერთო ხმა —და თავგასული ბულგარეთი იკადრებდა ქარქაშშივე ჩაეგო ამოღებული ხმალი. მაგრამ ევროპა სდუმდა და სდუმს ეხლაც; მან კვლავ თავისი ოფიციალური ნეიტრალიტეტი გამოაცხადა. ეს ასეც იყო მოსალოდნელი. თუმცა ევროპა დიდი ხანია „ავადმყოფ ადამიანის“ საქელეხოდ ემზადება, მაგრამ იმავე დროს მას [illegible] ეჭაშნიკება ბალკანეთის სახელმწიფოთა გაძლიერება, რამდენადაც ეს უკანასკნელნი ერთმანეთს შეიძულებენ და ავნებენ, იმდენად ეს ევროპისთვის ხელსაყრელია.

ამ ახალ კონფლიქტში უმეტესი მოძრაობა რუსეთის და ავსტრიის დიპლომატიას ეტყობა. ავსტრია ცდილობს ისარგებლოს შემთხვევით და გაასწოროს ის მარცხი, რომელიც მას მოუვიდა ბალკანეთის ომში. ავსტრიის მთავრობა მხარს უჭერს რუმინიას და კვლავ უღვიძებს მას კომპენსაციის იმედს. ამასთანავე მას უნდა როგორმე მოარიგოს ბულგარეთი და რუმინია, რათა თავის ჰეგემონიის ქვეშ შემდგარ კავშირით ფრთები შეაკვეცოს სლავიანთა გავლენას ბალკანეთში და საბერძნეთის განვითარებას და გაძლიერებას.

მეორე მხრით აშკარად სჩანს თუ საითკენ არის სამთა შეთანხმების სიმპატია. რუსეთის მოქმედებამ გვაჩვენა, რომ ის მხარს უჭერს საბერძნეთსა და სერბიას. ამგვარად შესდგა სახელმწიფოთა ხმალ-ამოღებული შეთანხმება და გარეგნულად ის ხმა შეტკბილებული კონცერტი, რომელსაც ასეთი ხელოვნებით მართავს ამჟამად ინგლისის დიპლომატია.

არეულმა პოლიტიკურმა პირობებმა უიმედოდ ავადმყოფ თურქსაც რაღაც იმედი გაუღვიძა. მარტიდან დაწყებული მთავრობის მოსამსახურეებს ერთი შაურიც არ აუღიათ თავისი ჯამაგირებისა, დიზენტერია და სხვა სნეულებები ანადგურებენ ჩათალჯის მშიერ ჯარს; დაუგირავებელი აღარაფერი დარჩა; საქმე იქამდე მივიდა, რომ განდევნილ და დასჯილ რევოლუციონერთა მამულებს დაუწყეს ყიდვა, მაგრამ მიუხედავად ამისა ოსმალეთიც ომის ფახურშია. სწორედ არ მინდოდა დამეჯერებინა ჩემი თვალებისთვის, როდესაც ახალი ომის დაწყებისთანავე ქუჩებში კვლავ დავინახე ჯერ კიდევ ახალი ბაშიბუზუკური სურათები. აგერ მუშათა ჯგუფი თავიანთი გამხდარი ცხენებით, რომელთაც, როგორც მათ პატრონებს, გადალვლეპილი აქვთ ზურგი მეტი შრომისაგან. მათ ჯარის-კაცები მიერეკებიან დიდი მეიდნისაკენ, სადაც მთავრობა აგროვებს ყველანაირ ეტლებს, ცხენებს, ხარებს და კამეჩებს. აგერ ჯარის-კაცთა პატრული აჩერებს გზაში მეეტლეს და რადგანაც პროტესტს აცხადებს, კისერში ცემით მიათრევენ კომენდანტთან. აგერ საწყალი, მაკედონიიდან გამოქცეული მოჰაჯირი მისდევს თავის ორ ხარს, რომელსაც პოლიციელი სადღაც ერეკება; აგერ ეს მეიდანიც, სადაც მთავრობას შეუგროვებია ათასგვარი ეტლი და დიდძალი საქონელი. აქ გოდების და ტირილის მეტი არა ისმისრა. სრულიად უსასყიდლოდ მთავრობა სტაცებს მცხოვრებს უკანასკნელ ცხენს, რომელზედაც, ვინ იცის, დამოკიდებული იყო მთელი ოჯახის კეთილდღეობა... სახელმწიფოს ეკონომიური დაქვეითება უკიდურეს წერტილამდეა მისული და მთავრობა კი ომის სამზადისშია! რასაკვირველია, ყველა ეს მოჩვენებაა და ბაქი-ბუქი. ოსმალეთის მთავრობას უნდა თავისი მუქარით გავლენა იქონიოს პარიზის ფინანსიურ კომისიაზე, რათა თავიდან აიცილოს მოსალოდნელი გადასახადი და, რაც შეიძლება, მეტი მოიგოს მომავალ საზღვრების აღნიშვნაში ბულგარეთთან.

ომის ამ სამზადისმა გამოიწვია ის გარემოება, რომ ბულგარეთმა კონსტანტინოპოლის მთავრობასთან მოსალაპარაკებლად გამოგზავნა აქ ელჩად ნამყოფი, თურქოფილი **ნაჩევიჩი**, რომელიც უკვე ჩამოვიდა. მან ერთ ჟურნალისტთან ლაპარაკში განაცხადა, რომ ბულგარეთმა ეხლა შეიტყო ვინ არის ნამდვილი მისი მტერი; შემდეგში ის ეცდება გაასწოროს თავისი შეცდომა და იქონიოს ოსმალეთთან მეგობრული განწყობილება. ამ გვარ საძირკვლის დაფუძნებისათვის, ვითომდაც, ის გამოგზავნა მისმა მთავრობამ. რასაკვირველია, ოსმალეთის პრესა დაცინვით შეხვდა ფერდინანდის ელჩს, რომელსაც ხიფათში ჩავარდნილი მგლის მკვერმეტყველობით უნდა მოეხიბლოს გუშინდელი თავისი მტერი. ოსმალეთი ომის განახლებას უსახსრობის გამო ვერ გაჰბედავს, მაგრამ ბულგარეთმა რომ თავისი მეთვისური გაუმაძღარი პოლიტიკის გამო ბევრი დაჰკარგა, ეს ექვს გარეშეა. უეჭველია, რომ აწინდელი ომი დიდ გავლენას იქონიებს ოსმალეთთან ჯერ კიდევ დაუმთავრებელ ზავის ხელშეკრულებაზე.

ჯერ-ჯერობით გამარჯვება სერბია - საბერძნეთ - ჩერნოგორიისაკენ არის. სერბებმა აიღეს მრავალი შესანიშნავი და სტრატეგიულად მნიშვნელოვანი ადგილი და ორად გაჰყვეს ბულგარეთის ჯარი. ბერძნებმა კი, თავისი ფლოტის შემწეობით დაიჭირეს კავალა და დედეაგაჩი. თუ ბედმა შემდეგშიაც ხელი გაუმართათ და გამარჯვება საბოლოოდ ბერძნებს და სერბებს დარჩათ, მაშინ ბულგარეთი საქმით იგრძნობს თავის ვერაგულ მოქმედებით გამოწვეულ მწარე მდგომარეობას და უფრო სადი წარმოდგენისა შეიქმნება თავის გაზვიადებულ სამხედრო ღირსებაზე.

ი. ტ.

მუშათა ცხოვრება

პეტერბურგი.

✦ მუშათა გაფიცვა თანდათან ძლიერდება. დაახლოვებით გაფიცულთა რიცხვი 75 ათასს კაცს უდრის მარტო პეტერბურგში. ზოგიერთ ქარხანაში გაფიცვა 4 თვე გრძელდება. გაფიცული არიან ქარხნები: ახალი ლესნერისა 75 დღე, ძველი ლესნერისა 55 დღე, ნევის გემთამშენებელი 50 დღე და საფრანგეთ-რუსეთის ქარხანა 25 დღე, პუტილოვის ქარხნის მღებარხი 73 დღე და სხვ. საერთოდ მუშები არაფერს უთმობენ პატრონებს. მიუხედავად იმისა, რომ მოსკოვიდან მოიყვანეს ლიტოგრაფები, ამან მუშათა გაფიცვას ხელი ვერ შეუშალა. სადაც კი მუშაობა დაიწყეს, ყველგან ხელფასი აუწიეს.

✦ საპროტესტო გაფიცვის გამომცხადებლებმა დაიწყეს მუშაობა. ამ გაფიცვაში მონაწილეობდა 50,000 კაცი.

✦ უნაგირების სახელოსნოს პატრონმა პარტმანმა ვარშავიდან მოიწვია მუშები. გამოწვეული მუშები ჩავიდნენ პეტერბურგს და უარი სთქვეს გაფიცულებთან მოლაპარაკებაზე.

✦ ერიკსონის ქარხნის მუშებმა წარუდგინეს მექარხნეს მოთხოვნილება და გაფიცვა გამოაცხადეს.

მოწერილი ამბავი

დ. ხარაგოული. ნათქვამია: „არ გათეთრდება ყორანი, რა გინდ რომ ხეხო ქვიშითა“-ო, და ეს ანდაზა ზედ გამოჭრილია ჩვენზე, სახალხო სკოლების მასწავლებლების უმრავლესობაზე. ბევრს გვამხნევებენ, გვკიცხავენ, გვიცაცხანებენ, მაგრამ ყურსაც არ ვიბერტყავთ და ისევ ძველებურად, ჩვენებურად და უკუღმართად მოვქმედებთ. სილაჩრე, გაუბედაობა, შიში და კანკალი, როგორც ბ-ნი სიტყვა სამართლიანად სწერდა, ხომ ჩვენს დევიზს შეადგენდა და შეადგენს, მაგრამ, ჩვენდა საბედნიეროდ, არც ერთი-მეორის მაზზრობაში გვიჭირავს მცირე ალაგი. უკეთუ რომელიმე ჩვენთაგანმა გაჰბედა და სამართლიანი ხმა ამოიღო, დანარჩენები მივწანწალობთ სადაც ჯერ არს, მუხლს ვიდრეკთ და ვევედრებით დასჯასა და განდევნას. ყველა ამის ფაქტები მრავალის უმრავლესია, მაგრამ ამ ჟამად ამის მტკიცება ჩვენს მიზანს არ შეადგენს, მხოლოდ აღვნიშნავთ ერთს ფაქტს, ჩვენი სილაჩრე—გაიძვერაობის დამამტკიცებელს: ამ ორიოდე წლის წინად, როდესაც ხარაგოულის ქალთა და ვაჟთა სამინისტრო სკოლებში 81 წლის გეგმის სწავლების შესახებ გაზეთებში განგაში ასტყდა, ჩვენმა სასიქადულო მამამ და აღმზრდელმა ი. გოგებაშვილმაც ღირსეული წერილი უძღვნა ვისაც ჯერ იყო. ერთი სასკოლო მოხელე იმდენად გაებრაზებია მის სამართლიან წერილს, რომ ერთ ოჯახში, ხარაგოულში, შემდეგი საზიზღარი სიტყვები წარმოთქვა: „რა გააჭირვა საქმე ამ (კალამი მიჩერდება) **ბებერმა ძაღლმა** გოგებაშვილმა, რომ რაღაცას ჯღაბნის“-ო და სხვა. ეს ამბავი ბევრს მასწავლებელს სცოდნოდა, მაგრამ იმდენი გამბედაობა ვერ გამოიჩინეთ, რომ აღმზრდელი მამის შეურაცმყოფელისათვის პასუხი მოეთხოვათ. წარმოიდგინეთ, ისეთი სულით დაცემული მასწავლებლებიც კი აღმოჩნდნენ, რომ ასეთ თავხედ მოხელს სამადლობელი სადილი გაუმართეს ამას წინად ერთ-ერთ მახლობელ დაბაში. წარმოდგა თურმე სადილზე ერთი „უჩიტელი“, თავის მონა მორჩილი „უჩიტელნიცით“ და ხოტბა შეასხა ჩვენი მამის შეურაცმყოფელს და უსურვა, რომ იმის მგზავსი მოხელეები სხვებიც ბევრი აღმოჩენოდა ჩვენს სკოლებს. მოხელემაც დიდი მადლობა გადაუხადა თურმე და აღუთქვა დაწინაურება. ამ ამბავს ორიოდე პატიოსანი მასწავლებელიც დასწრებოდა შემთხვევით და იქვე აღევიშნათ „უჩიტლის“ გაიძვერობა, მაგრამ ის მაინც თავისას გაიძახოდა თურმე და კუდა მელასავით წუწკუნებდა. ამის შემდეგ, არ შემიძლია გულახდილად არ აღვიარო, რომ ჩვენ “დაკარგული ხალხი ვართ” და ჩვენისთანა სულით-დაცემულ „უჩიტელ“—„უჩიტელნიცების“ გასწორება მხოლოდ და მხოლოდ სამარეს შეუძლია! **მასწავლებელი.**

უცხოეთი

ჰომრულის ბილის ხელმეორედ უარყოფა.

ტელეგრაფმა გუშინ ცნობა მოიტანა, რომ ლორდთა პალატამ ხელმეორედ უარჰყო ირლანდიის ავტონომიის კანონ-პროექტი. 302 ხმის უმრავლესობით 64 წინააღმდეგ მიიღეს ლენსდოუნის რეზოლუცია: „პალატა უარს ამბობს ბილის განხილვაზე მანამდე, სანამ ეს საკითხი მთელს ქვეყანას არ გადეცემა გადასაწყვეტად“. თვით უნიონისტების პრესაც კი „არაჩვეულებრივად“ სთვლის ასეთს ფორმულას, თუმცა ბილის უარყოფას ყველა წინდაწინვე მოელოდა. მთავრობა თავიდანვე ანგარიშს უწევდა იმ გარემოებას, რომ მას მესამედ დასჭირდებოდა საზოგადოებათა პალატაში ამ კანონ-პროექტის შეტანა და რომ მესამედ მიღების შემდეგ ლორდთა პალატა ისევ უარჰყოფდა მას, რის შემდეგაც „ახალი კონსტიტუციის“ ძალით მეფეს მოუხდებოდა ამ ბილის დამტკიცება. მაგრამ. საინტერესოა, რით ხელმძღვანელობდა ლორდთა პალატა ბილის უარყოფის დროს, როდესაც კარგად იცოდა, რომ ახლო მომავალში ეს კანონ-პროექტი მაინც ძალაში შევიდოდა? 27 წლის წინად ჰომრულის ბილმა განხეთქილება გამოიწვია ლიბერალების პარტიაში; გლადსტონის დროსაც ლიბერალთა დიდი შეხლა-შემოხლით გადიოდა ეს ბილი. მაგრამ ამჟამად ირლანდიის ავტონომიის საკითხში ლიბერალები ერთსულოვნებით მოქმედებენ და მუშათა პარტიისა და ირლანდიის ნაციონალისტებთან ერთად მტკიცე უმრავლესობას ჰქმნიან პალატაში. მაშასადამე, ლიბერალთა პარტიის შინაურ უთანხმოების იმედი ლორდებს არ უნდა ჰქონოდათ.

უნიონისტებსა და ლორდთა პალატას სულ სხვა რამის იმედი ჰქონდათ; სახელდობრ, ოლსტერის მღელვარებისა, სადაც პროტესტანტი მცხოვრებნი, რაკი ხელახლა აღიძრა ჰომრულის საკითხი, მხნედ შეუდგნენ მის წინააღმდეგ საპროტესტო მოძრაობას. შარშან ოლსტერლებმა დაადგინეს ეგრედწოდებული „კონვენტი“, რომლის ხელისმომწერლებმა ფიცი დასდვეს ავტონომიის წინააღმდეგ საბრძოლველად. დღეს ოლსტერის მოძრაობა თანდათან მძლავრდება და უნიონისტები ყოველნაირად ცდილობდა მის გაღვივებას. ლორდთა პალატაში საკითხის განხილვის წინა დღეს, უნიონისტების ლიდერმა ბონარ-ლოუმ მიმართა ოლსტერლებს და ამხნევებდა პარტიის სახელით. ამჟამად კი იგინი პირდაპირ პროვოკაციას ეწევიან ოლისტერის აჯანყების გამოსაწვევად. და თუ ლორდთა პალატამ უარჰყო ჰომრულის ბილი, უარჰყო იმ იმედით, რომ ოლსტერის მოძრაობა აიძულებს ასკვიტს უკან დაიხიოს.

მოვიხსენიოთ მოკლედ ბილის შინაარსი: იმპერიის პარლამენტს რჩება უზენაესი უფლება, ირლანდიას ეძლევა ავტონომია (და ცალკე პარლამენტი), რომელიც შესდგება მეფისა, სენატისა და საზოგადოებათა პალატისაგან. მეფის წარმომადგენლად ირლანდიაში ითვლება მეფის მადგილე. სენატი შესდგება 40 წევრისაგან, რომელთაც პირველად ნიშნავს ბრიტანიისა, ხოლო შემდეგ კი ირლანდიის მთავრობა. ქვედა პალატა შესდგება 164 წევრისაგან, რომელთაც იმ სახითვე ირჩევენ, როგორც დღესაა ინგლისის პალატაში. აღმასრულებელი უფლება პასუხისმგებელ მთავრობის ხელშია. იმპერიის საერთო პარლამენტში ირლანდია ჰგზავნის 42 წევრს, დღევანდელ 107 მაგიერ.

რუსეთი

ანკეტა ბოიკოტის შესახებ.

გაზეთს „სევ. ზაპ. გოლ.“, რომელიც ქ. ვილნოში გამოდის, მოუხდენია ანკეტა თუ ვინ და როგორ უცქერის პოლონელების მიერ ებრაელთა ნაწარმოებისათვის ბოიკოტის გამოცხადებას. უპასუხეს გამოჩენილმა მოღვაწეებმა, როგორც პოლონელებმა ისე რუსებმა დ ლიტოველებმა. ყველა წინააღმდეგი აღმოჩნდა ასეთი ბოიკოტისა, რადგან ვერ ჰპოვებენ ვერც ეკონო-

---

3) გამსესხებელს უფლება აქვს, თუ ნასესხი ფული იმ საქმეში არ დაიხარჯა, რისთვისაც აღებული იყო, პირობა დარღვეულად ჩასთვალოს და მოვალეს ვალი ძალით გადაახდევინოს. აქ უნდა დავუმატოთ, რომ ეს სამი უფლება კერძო მსესხებელს კი არა აქვს, არამედ მთელს, რომელსამე სამელიორაციო, საკრედიტო დაწესებულებას. უჰიპოტეკოდ (უგირავნოდ) ვალის გაცემაც მხოლოდ ამისთანა დაწესებულებას შეუძლიან. ამასთანავე ამ სამი უფლების კანტროლი სახელმწიფოს ხელშია.

წინასწარი გადასინჯვა განზრახულ მელიორაციათა ხარჯთაღრიცხვა და გეგმათა და მათი აღსრულების დაქვემდებარება მთავრობის კანტროლისადმი პრინციპიალურ საფუძველს იძლევა იმისას, რომ სესხის აღება ჰიპოტეკისაგან განთავისუფლდეს. ჰიპოტეკა საჭირო აღარ არის, რადგანაც მელიორაციები მამულს ფასსა და შემოსავალს ჰმატებენ. საკმარისია მხოლოდ აიკრძალოს თავისუფალი გაყიდვა იმ ზედმეტ შემოსავლისა, რაც მელიორაციების მეოხებით გაჩნდება და სამელიორაციო კრედიტორის ინტერესები სავსებით იქნება დაცული. ამავე დროს საჭიროა სამელიორაციო კრედიტორს პრიორიტეტი ჰქონდეს (ე. ი. უფლება, რომ მისი ვალი სხვათა ვალის უმალ იქმნას გარდახდილი). საჰიპოტეკო მოვალეთა ინტერესები ამ პრიორიტეტით დარღვეული არ იქნება. სამელიორაციო კრედიტორის პრიორიტეტს ამართლებს თვით სამელიორაციო კრედიტის ხასიათი: ფული მიცემულია მხოლოდ მელიორაციებისათვის; მელიორაციების მოგების ერთი ნაწილი უპირველესს ყოვლისა სამელიორაციო ვალის დასაფარავად უნდა იყოს გადადებული. ზოგ სახელმწიფოში (მაგ., საქსონია) ეს პრიორიტეტი ძალით არის განხორციელებული, ზოგში კი (მაგ. ბავარია) ჰიპოტეკას მხოლოდ კერძო პირთ სთხოვენ.

3) **სამელიორაციო ამხანაგობანი.** როგორც ზემოდ მოგახსენეთ, სამელიორაციო საქმე ხშირად კოლექტივობას ითხოვს. ამიტომ საჭიროა ამხანაგობანი. მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში ევროპის სახელმწიფონი სამელიორაციო ამხანაგობათა დაარსებას შეუდგნენ. აქ, კანონმდებლობამ ძალდატანების პრინციპი აღიარა. ამ პრინციპის მიხედვით რომელიმე ოლქის ან თემის მემამულეთა უმრავლესობას, როცა მას სამელიორაციო ამხანაგობის დაარსება ჰსურს, უფლება აქვს უთანხმო უმცირესობას ძალა დაატანოს და ამხანაგად გაიხადოს, მხოლოდ კი იმ შემთხვევაში, თუ ეს უმცირესობა მომავალ მელიორაციებში სარგებლობასა ჰნახავს და მხოლოდ რამე უცხო მოსაზრებით ჯიუტობს და არ უნდა ამხანაგობაში შესვლა. ასეთი უმცირესობა ამხანაგობის სრულ უფლებიანი წევრი ჰხდება. ყოველი წევრი თავის მხრივ ხარჯს მომავალ სარგებლობის კვალობაზე ეწევა.

რაკი სამელიორაციო საქმეებს ხშირად საზოგადოებრივი მნიშვნელობა აქვთ ხოლმე, ამიტომ ძალდატანება და მესაკუთრეთა უფლებების შეკვეცა თავის-თავად აუცილებელია. მაგრამ ევროპის სახელმწიფოთა მთავრობანი ამხანაგობათა დაარსებას მარტო ასეთ „ძალადობის“ პრინციპით კი არ უწყობდნენ ხელს, არამედ იმითაც, რომ ამხანაგობებს პრიორიტეტი მიჰსცეს. ეს პრიორიტეტი სჭრის არა მარტო საჰიპოტეკო კრედიტორის წინააღმდეგ, არამედ, ხშირად, გადასახადთა წინააღმდეგაც. ზოგ სახელმწიფოში გადასახადს და სამელიორაციო ვალს თანაბარის უფლებით ახდევინებენ. ამ რიგად, რაკი სამელიორაციო ამხანაგობებს ვალის გადახდევინება უადვილდებათ, თითონაც ადვილად ჰშოულობენ სესხს. მამულის პატრონისათვის ეს ძალიან ხელსაყრელია. მან თავის მამულზე მელიორაციების გაკეთება რომ მოინდომოს სესხს ადვილად ვერ იშოვნის, თუ ჰიპოტეკა არ წარადგინა. და თუ დავალიანებული მამული აქვს, მაშინ ხომ სულ ვერ წარადგენს გირაოს და სესხის საშოვნელად საჰიპოტეკო მოვალეთაგან თანხმობა უნდა აიღოს იმისა, რომ მოვალენი ვალის გადახდევინებაში პირველობას—პრიორიტეტს—სამელიორაციო კრედიტორს უთმობენ. ყველაფერი ეს ძნელია, მაგრამ მემამულეს შეუძლიან სამელიორაციო ამხანაგობის წევრი გაჰხდეს და მაშინ სესხს ადვილად იშოვნის; თვით ამხანაგობა მიჰსცემს ამ სესხს, რადგანაც თვით ამხანაგობას, კანონის ძალით, პრიორიტეტი აქვს.

ყველაფერი რაც აქა ვსთქვით, ამხანაგობების განვითარებას ხელს ძალიან უწყობს და ევროპაში მელიორაციების უმრავლესობა ამხანაგობათა მიერ არის აღსრულებული.

4) **სატეხნიკო - სამელიორაციო ბიუროები.** ასეთი ბიუროები საჭიროა თვით სამელიორაციო საქმის სიძნელისა გამო. გეგმების და ხარჯთაღრიცხვის შედგენა, საქმის წარმოება, ინჟინრების ყოლა კერძო პირთათვის და ამხანაგობათათვის ძნელია. ამიტომ საჭიროა ისეთი დაწესებულება, სადაც მცოდნე და გამოცდილი პირნი მუდამ მზად ჰყავთ. ასეთი დაწესებულებაა სატეხნიკო-სამელიორაციო ბიურები. ეს ბიუროები თვით მთავრობის დაწესებულებაა. ასეთი ბიუროები ევროპაში ყველგან არ არის, მაგრამ სადაც არის, იქ მათ დიდი და ფას-დაუდებელი საქმე გააკეთეს. ეს ბიუროები არა თუ მარტო ჰშველიან ხალხს სამელიორაციო საქმეში, არამედ კიდეც აქეზებენ და ინტერესს უღვიძებენ.

ახლა ვნახოთ სად რა გაკეთდა.

პირველი პერიოდი.

მთავრობანი სამელიორაციო საქმეს საკუთარ ხარჯით ეწევიან.

პრუსია. დიდმა კურფიურსტმა ფრიდრიჰ ვილჰელმმა დააშრო ტყიანი ჭაობები შემდეგს ადგილებში: ლიხელვალდის გარშემო, დოსსაში, პოტსდამის მახლობლად, ბიუტტოში და ნეტცში.

ფრიდრიჰ I ხუთ წელიწადში დააშრო 1078 კვადრატიული ვერსი და დაჰხარჯა 212.330 მარკა. ეს ფული შემდეგ იმ მემამულეებს გადაახდევინეს, ვინც ამ დაშრობაში სარგებლობა ნახა.

ფრიდრიჰ დიდმა 1740—1755 წლებში მელიორაციან მიწებზე 25 ახალი სოფელი გააშენა. მის მეფობაში, სხვადასხვა დროს დააშრეს 539 კვ. ვერსი ჭაობი. მდ. ოდერზე გაჰმართეს სანაპირო სიმაგრეები და ამით, წინედ უვარგისი 39.668 ჰექტარი მამული სამუშაოდ გამოდგა. ეხლა ეს ადგილები ჩრდილოეთ გერმანიაში უნოყიერესს და საუკეთესო მამულად ითვლება. ამ საქმეში დაიხარჯა 1 ნახ. მილიონი მარკა. 1763—1768 წლებში მეფემ დახარჯა 30 მილიონი მარკა და მრავალი ჭაობი დააშრო. აქ ჩამოთვლილ მელიორაციების შემწეობით გერმანიაში XVIII და XIX საუკუნოებში სოფლის მეურნეობა ძალიან განვითარდა.

1861 წელს გადადებულ იქმნა 16 მილიონი მარკა დრენაჟებისა და სარწყავებისათვის ოპპელის ოლქში. 1870 - 1873 წ. მდ. რეინის რეგულარიზაციაში დაიხარჯა 30 მილ. მარკა.

ავსტრია. ამ მხრივ აქ ბევრი არა გაკეთებულა-რა. ბოლო ხანებში მთავრობა მდინარეებს ასწორებდა, მაგრამ მიზნად მარტო სოფლის მეურნეობა კი არა ჰქონდა, არამედ ნაოსნობაც.

იტალია. 1877 წ. მთავრობამ ჭაობთა დასაშრობად 74 მილიონი ლირი დახარჯა.

1881—1890 წ.წ. მთავრობას ყოველწლივ ხარჯთ-აღრიცხვაში შეჰქონდა 31 მილიონი ლირი.

1899—1900 წ. ხარჯთ-აღრიცხვაში შეტანილი იყო 5.751.100 ლირი.

1900 წ. კანონით საზოგადო სამუშაოთა სამინისტროს ხარჯთ-აღრ- 1900—1903 წ. ყოველწლივ შეჰქონდათ 2.411.400 ლირი, ხოლო 1903—1924 წლ. ყოველწლივ შეაქვთ 4.991.757 ლირი.

ამრიგად 1877 წლიდან 1913 წლამდის, ე. ი. 36 წლის განმავლობაში სამელიორაციო საქმისათვის იტალიის მთავრობამ 166.902.870 ლირი გადასდო ანუ, ორთა-შუა რიცხვით, წელიწადში 4.672.930 ლირი.

მეორე პერიოდი.

როგორცა ვსთქვით, მეორე პერიოდში მთავრობებმა საკუთარ ხარჯით სამელიოსაციო საქმეთა კეთებას თავი დაანებეს და კერძო ინიციატივის გამოსაწვევად ოთხი საშუალება იხმარეს:

1) სუბსიდიები.

პრუსია. 1850 წელს სამიწად-მომქმედო სამინისტროში სუბსიდიების ფონდი დაარსდა. პირველად გადადებულ იყო 150.000 მარკა, შემდეგ ყოველ წლივ უმატებდნენ ფონდს და 1867 წელს ფონდში უკვე 750.000 მარკა იყო; 1870 წელს იყო 859.350 მარკა; 1875 წელს—3.224.850 მარკა. სუბსიდიები ეძლეოდათ კერძო პირთ და პროვინციებს. როცა მოვალენი ვალს იხდიდნენ, შემოსული ფული ისევ მელიორაციებს ჰხმარდებოდა.

ბავარია. ფონდი დაარსდა ურწყავ ადგილთა სარწყავად. 1878—1903 წ.წ. გაცემული იყო 4.577.000 მარკა, ე. ი. მთავრობამ გადიხადა სრული ხარჯის $18^{1}/_{2}\%$. ეს ფული ეძლეოდათ ისეთ მელიორაციებში, რომლებსაც მთავრობის სატეხნიკო ბიურები ეწეოდა. 1897—1903 წ. კერძო ბიუროებს მიცა. 679.450 მარ. ე. ი. 8,9%.

ავსტრია. აქ დაარსდა საიმპერატორო — სამელიარაციო ფონდი, 1889 წლის კანონით. ფონდის მიზანი იყო მელიორაციები, რომლებსაც საზოგადოებრივი მნიშვნელობა აქეთ: წყალ-დიდობისაგან დაფარვა ადგილებისა, დაშრობა, მორწყვა და სხვ. ფონდში 1885—1894 წ.წ. ყოველწლივ შეჰქონდათ 500.000 გულ. 1908 წ.—2 მილიონი გულდენი. 1909 წ. კანონით გადასწყდა ყოველ წლივ გადადებულიყო 4 მილიონი გულ. 1908 წ. დადგენილი იყო 192 დახმარების აღმოჩენა, სულ 6.116.517 კრონისა. 1884 წლის კანონით დადგენილი იყო ფული გაცემულიყო ან უპროცენტოდ, ან პროცენტებით (არა უმეტეს 4%) და ან საჩუქრად. უფრო მეტ წილად ფულს საჩუქრად აძლევდნენ. ასე იმ 6.116.517 კრ. 173.113 კრონი უპროცენტოდ გაჰსცეს, ხოლო 5.943.404 კრ. კი საჩუქრად. კერძო პირთ ფონდიდან ფულს არ აძლევდნენ. აძლევდნენ მხოლოდ ოლქებს, თემებს, პროვინციებს. ასეთი ფონდები ეგრედ წოდებულ „საგვირგვინო მამულებშიაც“ არის. იმ 192 დახმარებიდან 64 საწყლო მელიორაციებს გაუწიეს.

1885—1896 წ. სულ გაცემული იყო 25.967.741 გულ. ამ ფულში საიმპერატორო ფონდმა გაიღო 9.500.785 გულ. (36,6%) „საგვირგვინო მამულთა“ ფონდებმა 8.954.119 გულ. (34,5%), მემამულეებმა 7.512.747 გულ. (28,9%).

იტალია. აქ სუბსიდიები მხოლოდ ჭაობთა დასაშრობადაა. 1900 წლის კანონმა ორ-ნაირი დაშრომა ჰსცნო: 1) საჰიგიენო და 2) სასოფლო სამეურნეო, პირველს სახელმწიფო აკეთებს და თავის მხრივ ხარჯის $^{6}/_{10}$-ს ჰხარჯავს, $^{2}/_{10}$-ს ჰხარჯავენ მემამულენი, $^{1}/_{10}$-ს პროვინცი, $^{1}/_{10}$-ს კომუნა. მეორე კატეგორიის სამუშაოს ეწევიან ან კერძო მემამულენი ან მათი კავშირნი. თუ საქმის დამწყები სახელმწიფოა, ან პროვინცია, ან კომუნა, მაშინ მემამულეები ხარჯის $^{7}/_{10}$ იძლევიან, $^{3}/_{10}$ კი ან სახელმწიფო, ან კომუნა.

ი. ტ—შვილი.

(შემდეგი იქნება)

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიურს და ვერც ზნეობრივ საბუთს ასეთი ბოიკოტისათვის და შიშობენ, რომ ასეთ საქციელს, მხოლოდ ეროვნული ურთიერთობის გამწვავება შეუძლიან მოახდინოს ვილონში.

ს.-რ. პარტიის წევრთა საქმე.

ამ დღეებში პეტერბურგის სამოსამართლო პალატის განსაკუთრებულმა განყოფილებამ გაარჩია სტუდენტ მირონოვის, მისი დისა და გორბაჩევსკის საქმე, რომელთაც ს.-რ. პარტიის წევრობა ჰბრალდებოდათ. სასამართლომ ყველა დამნაშავედ იცნო და სხვა და სხვა ვადით ციხე მიუსაჯა.

ჭინჭრის სარგებლობა.

მოსკოვში დაარსდა „რუსეთის ჭინჭრის მრეწველთა საქციონერო საზოგადოება“, რომელსაც თანხა 2 მილ. მან. გამოუღია და ჰსურს ჭინჭრიდან ძაფი გააკეთოს. ჭინჭრის ძაფი თურმე ბევრ რამედ გამოდგება, მხოლოდ საქმე ისაა თუ, როგორი საშუალებით გააკეთებს. თურმე აბრეშუმსაც კი მიემგზავსება. ჯერ-ჯერობით ქარხანას მოსკოვში აარსებენ.

მხეცი მშობელი.

ქ. რიგის სასამართლომ გაასამართლა ვინმე პოჩიკოვსკი, რომელსაც თავის 12 წლის ქალის გაუპატიურება ჰბრალდებოდა. პოჩიკოვსკის სასამართლოსათვის განუცხადებია: ჩემი შვილი ქალწული არ არის, იგი თუმცა 12 წლისაა, მაგრამ როსკიპი არისო. ამის დასამტკიცებლად ვიღაც ბედროვი დაასახელა. უკანასკნელიც დაემოწმა პოჩიკოვსკის, მაგრამ ექიმს ბავში გაუსინჯავს და მისი როსკიპობის დამამტკიცებელი საბუთები ვერ უპოვნია. სასამართლომ პასუხის გებაში მისცა ბედროვი—ცრუ მოწმობისათვის და პოჩიკოვსკი, როგორც წამქეზებელი.

ბალკანეთის მოკავშირეთა შეტაკება

(დეპეშ. პეტ. საგენტოსაგან)

8 ივლისი

სტამბოლი. ოტომანის სააგენტომ გამოაქვეყნა პორტას ნოტა დიდ სახელმწიფოებისადმი. ნოტაში პორტა ამბობს, რადგანაც ბულგარელებმა არ დასცალეს ოსმალეთისათვის დასაბრუნებელი ადგილები, ამიტომ ოტომანის სახელეწიფო მოითხოვს, რომ სამზღვარი გაყვანილ იქმნას ენოსიდან ჩრდილოეთით მდინარე მარიცას გასწვრივ. ოსმალეთისათვის უკეთესი იყო ბულგარეთთან დიპლომატიის შეწყვეტით ზავი ჩამოეგდო, მაგრამ მხეცობა ბულგარელებისა აიძულებს მას დაიპყრას ფრაკია მარიციდან მოყოლებული ადრიანოპოლომდე. ოსმალეთი პირობას სდებს სახელმწიფოებთან ერთად გადასწყვიტოს ფრაკიის საკითხი და ეხლა კი ბულგარელებს აკისრებს პასუხის მგებლობას, თუ ვინიცობაა ომი განახლდა.

ათინა. არა უგვიანეს 8 ივლისისა სერბია, საბერძნეთი და ჩერნოგორია უპასუხებს რუსეთს მის წინადადებაზე ზავის ჩამოგდების შესახებ. სამი მოკავშირე სახელმწიფო თანახმაა დამოუკიდებელი მოლაპარაკება გაჰმართოს ბულგარეთთან და ზავი ჩამოაგდოს.

სოფია. მე-11 დივიზიის სარდალი იუწყება: სერესში ბერძნებმა დახოცეს 200 ბულგარელი მოხელე და აგრეთვე დაჭრილები, ავადმყოფები და ჩამორჩენილი ჯარის-კაცები. გარშემო სოფლები დანგრეულია.

ათინა. სამხედრო სამინისტრო იუწყება ბერძნების გამარჯვებას; დემირ-გისარიდან უკან დახევის შემდეგ სტრუმის ხეობას მოწყვეტილი ბულგარელები დრამისა და სერესის შუა მდებარე მაღლობებზე გამაგრდნენ.

სოფია. როდოსტოში ოსმალოების სიმხეცის შესახებ ბულგარეთის სააგენტო იუწყება: ოსმალებმა მოჰკლეს პრეფექტის თანაშემწე, როდესაც იგი თანამდებობის აღსრულებას შეუდგა. კირკილისესა და ადრიანოპოლისაკენ მიმავალი ოსმალები ელეტენ ბულგარელებს.

ლონდონი. სოფიიდან იტყობინებიან: 7 ივლისს ოსმალოები ადრიანოპოლში შევიდნენ ბულგარელების მცირე რიცხოვან რაზმთან შეტაკების შემდეგ. ბაშიბუზუკები ქალაქს არბევენ. რუმინია კი აღმოსავლეთ საზღვარს ემუქრება.

სტამბოლი. მსოფლიო პატრიარქის სახელით სამი მიტროპოლიტისაგან შემდგარმა დეპუტაციამ მიჰმართა დიდ ვეზირს და მიუთითა ოსმალებისაგან ჩადენილ უდიერობას. მინისტრთა საბჭომ კრებაზე განიხილა ომის განახლების საკითხი. დიდი ვეზირი და რამდენიმე სხვა მიემხრო თალაათბეის წინადადებას ომის გამოცხადების შესახებ.

სოფია. ბულგარეთის სააგენტო იუწყება: სერბიელების ცხენოსანმა ჯარმა 60-მდე დაჭრილი და ავადმყოფი ბულგარელი ამოსწყვიტა, მიუხედავად იმისა, რომ საავადმყოფოს ბაირაღი ამცნობდა მათ დაჭრილთა ბანაკს. სოფელ ზლატოვოში სერბიელებმა მოჰკლეს მღვდლის ორი შვილი და თან გაიტაცეს ცოლი.

ათინა. კავალის ნავთსადგურის შესასვლელში ჩაყრილი ნაღმები ისევ ამოჰკრიფეს.

სალონიკი. ბერძნების ჯარის მარჯვენა რაზმი ჩრდილოეთისაკენ წასვლისას წინ შეეყარა ბულგარელების ძლიერ რაზმს, რომელიც ბანიცაში გამაგრებულიყო. ბულგარელები დამარცხდნენ.

სოფია. ბულგარეთის მთავრობამ თანხმობა განაცხადა, გაჰმართოს დამოუკიდებელი მოლაპარაკება მოკავშირეებთან. ოსმალეთის ჯარმა სრულა აუტეხა ბულგარეთის ჯარს, რომელიც ადრიანოპოლის გზას იცავდა. მთავრობამ პროტესტი განუცხადა სახელმწიფოთა მისიებს. ბულგარელების დელეგატები მოკავშირეებთან მოსალაპარაკებლად წავიდნენ ნიშში.

სალონიკი. ბერძნების ჯარის მთავარ სადგომიდან იტყობინებიან, რომ ბერძნების ჯარი ისევ წინ მიიწევს.

ბუქარესტი. მთავრობა გადასცემს პასუხს ბულგარეთის ნოტისას 8 ივლისს. ოფიციოზი ამტკიცებს, რომ მთავრობა თანახმაა გამართოს მოლაპარაკება მეომარ მეზობლებთან.

დეპეშები

(დეპეშათა პეტერბ. სააგენტოსაგან).

8 ივლისი.

უცხოეთი

პორტ-სეიდ. გამოქვეყნებულია ხელიფის ბრძანება, რომლითაც საკანონმდებლო დაწესებულება არსდება. არჩევნები მალე დაიწყება.

პარიჟი. ბულონის ტყეში იპოვეს მარგალიტის ყელსაბამი, რომელიც ამას წინად გატაცებულ ყელსაბამს ჰგავს. ამ დღეებში მცოდნე პირნი განიხილავენ ყელსაბამს.

პარიჟი. გარდაიცვალა გამოჩენილი იურისტი და უფლების ისტორიკოსი ესმენი.

ბერლინი. შტეტინში გაიფიცა 6,700, ჰამბურგში 18,000 მუშა, ბრემენში 3,000 კაცი.

რუსეთი

ტულა. თავის მამულში გარდაიცვალა ჩემულპოს გმირი, ჯავშნოსან გემის „ვარიაგის“ სარდალი რუდნევი.

ჩელიაბინსკი. უკანასკნელ კვირას გაიარეს ციმბირში დასახლების მოსურნეებმა, სულ გაიარა 3,276 კაცმა.

კოვნო. 443 ამომრჩეველთა სიაში, რომელთაც სახელმწიფო საბჭოს წევრი უნდა ამოირჩიონ შეტანილთა 263 პოლონელი, 80 ლიტველი, 47 რუსი, 33 გერმანელი, 19 ლატიში, 1 ებრაელი.

ცარიცინი. სოფელ ცაცაში, სადაც მოკვდა კაცი ვითომ ჭირით, მოხდა კრება მახლობლად მყოფ ექიმებისა და ლაბორატორიების გამგეებისა. გადასწყვიტეს დაწვრილებით გამოიკვლიონ ამ მხარეში ყველა ის ცხოველი, რომელსაც გადააქვს ჭირი.

სოსნიცა. სეტყვამ გააფუჭა 3.000 დესეტინა მიწა. ზარალი 80,000 მანეთისაა.

ატკარსკი. კლენოვია ვერშინაში გრიგალმა მოჰგლიჯა 80 სახლის თავი. ხეები ამოთხარა ძირიანად, სახლები დაანგრია.

პეტერბურგი. ოფიციალი. ზოგიერთი უცხოეთის გაზეთი სწორედ ვერ განმარტავს რუსეთის მოქმედებას ბალკანეთში. ამოწმებენ, ვითომც, საიმპერატორო მთავრობა „აშინებს“ საბერძნეთს და სერბიელებს კი, როგორც სლავიანთა სამეფოს, ხელს აფარებს და არ აკვეცინებს მის მოთხოვნილებებს. ასეთი ცნობა სიმართლეს მოკლებულია. საიმპერატორო მთავრობის განცხადება როგორც ბელგრადში ისე ათინაში ერთნაირია. რუსეთი, სხვათა შორის, სხვა სახელმწიფონიც, არ მისცემს არავის უფლებას ბულგარეთის დამცირებისას. გარდა მშვიდობიანობის დამყარებისა, არავითარი სხვა მიზანი არა აქვს რუსეთს და დარწმუნებული ვართ, რომ სხვებიც იზიარებენ ჩვენ მიზანს. ეს არწმუნებს, რუსეთს, რომ ოსმალეთის გამოსვლას შეაჩერებენ სახელმწიფონი, რადგანაც პატივს აცემინებენ თავიანთ გადაწყვეტილებისათვის.

წერილი რედ. მიმართ

ბატონო რედაქტორო! უმორჩილესად გთხოვთ, ნება დაგვრთოთ თქვენი პატივცემული „სახალხო გაზეთი“-ს საშუალებით ულრმესი მადლობა გამოვუცხადოთ იმ პირთ, რომელთაც 1912 წლის ნივთიერი დახმარება გაუწიეს ეკლესიის გამშვენებას, ჩემდამი რწმუნებულის (ქუთაისის მაზრა) მათხოჯის წმ. ნინოს დედათა მონასტერს; შესწირეს:

პრინცესა სალომე მიურატი 10 მ., თავადი დათა ლორთქიფანიძის ასულმა დესპინე ფარსადანოვისამ 40 მ., დეკ. მიხეილ მჭედლიძის შემწეობით 55 მ., დეკ. კაპიტონ გაწერელიას შემწეობით 45 მ., დეკ. ანტონი კეკელიას შემწეობით 40 მ., იოსებ როსტომის ძე ლეჟავამ 20 მან., ასლან გიორგის ძე მდივანმა 25 მ., გველესიანი და ჭავჭანიძე 10 მ., მონაზონი ივლიტე ოდიშარიას ასულმა 10 მ., მღვდელი კონსტანტინე მაჯგანაძის შემწ. 40 მ., ნინა მაკარიშვილისამ 8 მ., ხუთ-ხუთი მანეთი: კნ. ნინა გაბაშვილისამ, მღვდელი ერმალოზი ჩიხლაძემ, ნესტორ გაბრიელის ძე ღვამიჩავამ, კნ. სოფიო მიქელაძემ, კნ. ელისაბედი გიორგის ასულმა ჩიქვანისამ და ილია მანუჩარის ძე ჩიქვანმა. სამ-სამი მანეთი: კნ. ნინა თავდგირიძისამ, სალომე ანჩაბიას ასულმა ჭიჭინაძისამ, ელენა მახარაძისამ, ბადუა ნიკოლოზის ძე ჩიქოვანმა, არხიმანდრიტი ნესტორმა, არხიმანდრიტი ნაზარიმ, მასწ. ვარლამ ძიძიგურმა, მასწ. ნესტორ ძიძიგურმა, მღ. მონაზონი სოლომონ მკვთლაძე, კნ. ალათი შარვაშიძისამ, ანდრია ივანეს ძე ფაშტიანმა, რემანოზ თევდორეს ძე ცომაიამ, ბატუა ოდიშარიას გაბუნიას ასულმა, სალომე აბაშიძის ასულმა. ორ-ორი მანეთი: დეკ. კეკელიძემ, მასწ თედორე ფირცხალავამ, ექიმი სამსონ ანტონის ძე კეკელიამ, ივანე პეტრეს ძე ჭავჭანიძემ, დავით გლუშაკოვმა, ი. სოლომონის ძე ცომაიამ, კნ. მარშანიამ, თომა ალანიამ, სერგი სიმონის ძე კვიცარიძემ, პავლე მაისაიამ, ვარლამ ფირცხალავა, პეტრე მონიავამ, გიორგი ქოჩუამ. თითო-თითო მანეთი: ანნა ჩიქვანისამ, ანასტასია მგელაძისამ, გრიშა რემანაზის ძე კეკელიამ, მღ. მონაზონი ილარიონი, ილარიონ გვაძაბიამ, ფოტინე მაისაიას ფაშტიანის ასულმა, სოფიო ფოჩხუა ფაშტიანის ასულმა, მღ. ანტონ ბოკუჩავამ, ოლღა რუხაძემ, ექიმ არქავანიძემ, გ. კილასონიამ, ს. გუნიამ, ბესარიონ სანაიამ, მღ. პორფირე ხილაიამ, ვანო რუხაძემ, ვ. სანაიამ, კნ. შელიავა, ივანე ქოლოკავა, ნიკოლოზ გოგინამ, ნიკიფორე ჯანელიძემ, სოფიო წულეიკიძისამ, ანთიმოზ ბოკერიამ, ხარიტონ ქვანიამ მაღლაკელიძემ, ელენე კვატარაძემ, მართა შარვაძემ, ფარნა დანელიამ, ზურაბი გაბუნიამ, ელისაბედ გარდაბხაძემ, ვასილისა სანაიასამ, კატო ლოლუას გუნიას ასულმა, ლუბა თევზაძისამ, ტარასი მელიაძემ. სიმონ ჯორბენაძემ 4 მ., ფარულავამ 4 მ., პავლე გეგიამ 5 მ., ბლად. მღ. დავითოსიძე 2 მ., მღ ბართლომე ოსიძე 1 მ., მასწ. ონისიმე ჩიხლაძე 1 მ., ერასტი გორდელაძე 1 მ.

ბატონო რედაქტორო! ნება გვიბოძეთ, თქვენი გაზეთის საშუალებით ულრმესი მადლობა გამოვუცხადოთ ნაფ. ვექილს **ი. ბარათაშვილს**, რომელმაც იკისრა ჩვენი უსასყიდლოდ დაცვა სასამართლოს წინაშე და კიდევაც ჯეროვანად შეასრულა თავისი მოვალეობა.

ჩვენს ახალ-გაზრდა გულში დაუვიწყარი იქნება მისი პატივისცემა და მისი სამსახური. ჩვენ ჯერ არც კი ვიყავით ღირსი ასეთი უზომო პატივისცემისა, რადგან მისი ფასი ჩვენ არა დაგვიმსახურებია რა. მაგრამ, იმედია, ჩვენი მომავალი ერთ დონეზე არ გაიყინება; საუკეთესო მომავალი წინ არის. ჩვენც აქეთკენ მივისწრაფით.

გაგვწირა სემინარიამ, მაგრამ არ გაგვწირავს მოწინავე საზოგადოება. რომლის ერთი წარმომადგენელთაგანია ბ. ი. ბარათაშვილი. მან მძიმე წუთში გაგვიწოდა ხელი და გვიხსნა უმოწყალო ბედისაგან

ჯერ-ჯერობით მზადა ვართ, შევიტანოთ ქარ. შ. წ. გ. საზოგადოებაში თითომ სამ სამი თუმანი. ვინაიდან ამოდენა ფულიც ჩვენს ჯიბეში ამ დროებით ძვირად თუ მოიყრის თავს, ვეცდებით ნაწილ ნაწილად გადავუხადოთ იგი ხსენებულ საზოგადოებას.

პატივისცემით: **ანდრო ანჯაფარიძე**
და აკაკი ტყემალაძე.

რედაქტორ-გამომცემელი
ა. ჭუმბაძე.

მატარებელთა მიმოსვლა

(ზ ა ფ ხ უ ლ ო ბ ი თ)

18 აპრილიდან

(დრო აღნიშნულია ტფილისის საათით).

ტფილისიდან გადის.

ბაქოსაკენ: № 6, **ჩქარი** პლაცკ. დილ. 10 ს. 16 წ., № 22, **სამგზ.-საბარგო** ნაშუადღ. 3 ს. 35 წ., № 4, **საფოსტო** სადამ. 10 ს. 16 წ., № 8, **სამგზავ.** სად. 6 ს. 29 წ., № 106, **ნარევი** მეოთხე კლასის ვაგონით, ტვირთის გადამზიდი სამგზავრო მატარ. სისწრაფით ღამის 4 ს. 23 წ.

ბათომისაკენ: № 3, **საფ.** დილ. 9 ს. 51 წ., № 11, დილ. 11 ს. 28 წ., (ივლის პირველ მაისიდან 14 ენკენისთვემდე). № 7, **საჩქარო** პლაცკ. ნაშ. 4 ს. 40 წ., № 9, **სამგზ.** ღამის 10 ს. 30 წ., № 107, **ნარევ.** მეოთხე კლას. ვაგონებით, ტვირთ. გადასაზ. სამგზ. მატ. სისწრაფით ღამ. 2 ს. 48 წ.

ბორჯომისაკენ: № 17, **სახ.** დილ. 8 ს. 2 წ. (15 მაისიდან 14 ენკენისთვემდე). № 19, **სამგზავრ.** ნაშუადღ. 3 ს. 16 წ.

მცხეთაში: № 65, **საბაგარბაკო** დილ. 8 ს. 46 წ., № 67, **სამგ.** ნაშუადღ. 2 ს. 43 წ.

ეს მატარებლები ივლიან პირველ მაისიდან 14 ენკენისთვემდე კვირა-უქმე დღეობით. მატარებელი № 67, უქმის წინა დღეებშიაც. ტფილისში უკანვე დაბრუნდებიან № 65 შუადღ. 12 ს. 5 წ. და № 67 სად. 8 ს. 28 წ.

ჯულფისაკენ: **სახფ.** № 4;3, შუადღ. 12 ს. 51 წ.

ყარსისაკენ: **სახ.** № 14/13, ღამ. 12 ს. 46 წ.

ერევანისაკენ: № 24;23, **საბარგ.-სამგზ.** სად. 8 ს. 8 წ. მეორე და მესამე კლას. ვაგონებით.

ტფილისში მოდის:

ბაქოდან: № 3, **საფ.** დილის 9 ს. 1 წ., № 11, **საბარ.-სამგზ.** დილ. 10 ს. 28 წ., № 7, **სამგ.** მოსკოვი-კოზლოვი-რიაზანი-როსტოვი, საშუადღ. 3 ს. 53 წ., № 5, **საჩქარო**— პეტერბურგი-მოსკოვი-კურსკი-ხარკოვი, სად. 9 ს. 35 წ., № 106, **ნარევ.**, მეოთხე კლ. ვაგონებით, ტვირთის გადასაზიდი სამგზავრო მატარ. სისწრაფით ღამის 2 ს. 12 წ.

ბათომიდან: № 10, **სამგზ.** დილ. 8 ს. 40 წ. № 12, **სამგ.** შუადღ. 2 ს. 29 წ. (პირველ მაისიდან 14 ენკენისთვემდე). № 8, **სამგზ.** სად. 5 ს. 54 წ., № 4, **საფ.** სად. 9 ს. 16 წ., № 106, **ნარევ.** ღამ. 2 ს. 12 წ.

ექიმი ა. ზ. მიქელაძე 15 ივნისიდან მიიღებს **შინაგან და ბავშვთა** სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5 ნახ. საათიდან 7 საათამდე ახალ ბინაზე—მიხაილოვის პროსპექტი № 117. ტელეფონი 816.

ექიმი კბილისა ნინო რუხაძე იღებს დილით 9—2 ს. სად. 5—7 ს., ოლგას ქუჩის შესახვევი № 5, სახ. მაკარაშვილისა.

ექიმი ა. ნ. დიასამიძე კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოვ.-დღე ნაშუადღ. 2—3 ს. სადამ. 6—7 ს. ხუთშაბ. მხოლოდ დილ. 8—9 საათ. კვირ. ავად. არ იღებს. მოსკოვის ქ., № 3, სახ. გაბაშვილისა.

ექიმ ნავასარდიანის
პირველი კერძო
სამკურნალო

(დაარსებულია 1880 წელს)
ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ.
ავადმყოფების მიღება ყოველ დღე, გარდა კვირისა.
დილით:
„606“ და „914“
11—12 ს. შეშხაპუნება
კონსულტატიურად.

ბ. ა. ნავასარდიანი: 11—12 ს. ქირურგიული და ვენერიული (სიფილ.) ავად.
ბ. გ. ბგახართვი: 1—2 ს. ბავშვთა შინაგანი ავადმყ.
ქ. მ. ჩიქოვანი: 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.
ზ. ი. ბაბანასოვი: 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.
ნ. ტ. მულინი: 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.
მ. გ. ბეკტისაანცი: 11—12 ს. კან სა. სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.
ა. პ. კარაპეტიანცი: 12—1 ს. შინაგანი, საბავშვო და ყვავილის აცრა.
ექიმი ქალი **ო. ვ. ტერ-დავიდოვისა** 1—2 ს. საბებიო და ქალების ავადმყ.
ქ. დ. გურგენიძე. 1—2 საათ. შინაგანი, საბავშვო, ყვავილის აცრა, სისხლის და შარდის ბაქტერეოლოგ. გამოკვლევა. საღამოობით 6 7 საათამდე.

საღამოთი:
მ. გ. ბეკტისაანცი: 6—7 საათ.
რიგვა-დარიგება 50 კაპ. ხელმოკლეთათვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.
სამკურნალოს დირექტორი მედიცინის-დოქტორი **ბ. ა. ნავასარდიანი.**
1004

სასანიტარო ექიმები

უბნები: 1, 2—9 **პ. ფომინა-ოსიპოვისა** ვაკეში, საკუთარი სახლი, ტელეფ. 461).
მე-4 და რუსის ბაზარში **ქრ. ლ. ქალანთაროვი** (სოლოლაკი, ამაღლების ქ. ტელ. 517).
5—6ო. **მ. ზაბლუდოვსკი** (გრიბოედოვსკი, 10. ტელ. 645).
10, 11—12 **გ. ა. მირაქოვი** (მიხეილის ქ., 174 ტელ. 327).
7—8 **გ. თ. ნათიშვილი** (ვორონცოვის ძეგლთან, მონუმენტნი შესახვ. 5. ტელ. 487).

სასურველია, თვითონ მცხოვრებლები დაგვეხმარებოდნენ სასანიტარო წესიერების შემოღებაში და სადაც-კი ამ მხრივ უწესობას შეჰნიშნავენ—სახლებში თუ სხვა ადგილებში სასანიტარო მოთხოვნილებათ არღვევენ, ცუდს საჭმელ-სასმელს აკეთებენ და ჰყიდიან, და სხ.—დაუყონებლივ ზემოდ დასახელებულ ექიმებს აცნობონ, წერილობითი განცხადებები ყველას შეუძლიან გარდასცეს ქალაქის სავაჭრო პოლიციის კანტორებში: ვერის მოედანზე, რუსის ბაზარში, თათრის მოედანზე, კახეთის მოედანზე, ავლაბარში რიგის ქუჩაზე, 54, ელისაბედის ქუჩა 56 და მალაკნის მოედანზე.

უფასო საექიმო დახმარება

ქალაქის საბჭოს ექიმები.

უბნები
1—2 **ბ. ა. გედბლინი** (სდგას ვერაზე, ოლგის ქუჩა, 22. ტელეფ. 592).
3—4 **მ. ი. შავერდოვი** (ფეთხაინის აღმართზე, 1, ტელ. 619).
5—6 **ტ. მ. თათეოსიანი** (ველიამინოვის, 4, ტელეფ. 680).
6—7 **შ. ა. ნაჟლაძე** (ავლაბარში, კახეთის ქ., 1, ტელ. 715).
8—9 **ნ. დ. ხატისოვი** (კუკიაში, ნიკოლოზოვის ქ. 7, ტელ. 715).
10, 11—12 **ა. ი. შჩერბინინისა** (დიდუბეში, საგურამოს ქ. 5. ტელეფ. 71.

ქალაქის საავადმყოფოები

მთავარი—მუხრანის ქუჩა, 9.
ავლაბრისა—კახეთის ქ. № 15.
ხარფუხისა—ვორონცოვის ქ. 55.
კუკიისა—ჩერქეზიშვილისა, 1—18.
დიდუბისა—საგურამოს ქ. 5.

ქალაქის საბჭოს ექიმები მოვალენი არიან ღარიბ მცხოვრებთ უფასო საექიმო დახმარება აღმოუჩინონ ქალაქის საავადმყოფოებში და თვითონ ავადმყოფის ბინაზედაც (ყოველმა თავ-თავის უბანში), თუ უბრალო ექიმი დილის 11 საათამდე მოიწვიეს, ვალდებულია იმ დღესვე ინახულოს ავადმყოფი, გარდა საჩქარო შემთხვევებისა, როცა დახმარება დაუყოვნებლივ უნდა მისცეს.

გამოსულია და იყიდება
ი. გედევანიშვილის პიესა
„მამცემი“
დრამა 3 მოქმედ. ფასი 25 კ.

გამართულია ხელის მოწერა 1913 წლის
„ხმა კახეთისა“-ზე

გაზეთის ფასი ფოსტით გაგზავნით: 1 ივლისიდან წლის დამლევამდე 1 მ. 80 კაპ., 1 თვით 40 კ. **სიღნაღში და სოფლებში:** 1 ივლის დან წლის დამლევამდე 1 მ. 30 კ., 1 თვით 25 კ., ცალკე ნომერი ყველგან 3 კ. **გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის პირველ რიცხვიდან. კანტორა** დროებით მოთავსებულია ქ. შ. წ.-კ. გამ. სიღნაღის განყ. **წიგნის მაღაზიაში.** გაზეთის დაკვეთა შეიძლება შემდეგ ადგილებში: სიღნაღში გაზ. „ხმა კახეთის“ კანტორაში, სოფ. ველისციხეში ლ. ბერიაშვილის აფთიაქში თელავში—ვანო პაატაშვილთან, გურჯაანში—ექ. დ. ჯავახიშვილთან, კარდენახში—კოლა დარაშვილთან, ვაქირში—მღ. ნ. ბარნაბიშვილთან, ბოდბისხევში—დ. ჩახნაშვილთან, ქვემო-მაჩხაანში—ალექს. ჯანყარაშვილთან, ბაკურციხეში—ორჯონიკიძის მაღაზიაში, საქობოში—სიკო იაშვილთან, ზაქათალაში—ბლად. ბ. ფურცელაძესთან, ჯუგაანში—მღ. ი. შანშიაშვილთან. ◆ **გაზეთის დასაკვეთი ფასი და სხვა ანგარიშები უსთუოდ ამ მისამართით უნდა გამოიგზავნოს** Сигнахъ К. І. Ткавадзе. 1370

საუკეთესო საკვები ცხენებისათვის და საქონლისათვის
„პატოკსან“.

„პატოკსან“ შეიცავს 42% შაქარს (სრულიად რუსეთის შაქრის მრეწველთა ლაბორატორიის ანალიზი № 647.
„პატოკსან“ საუკეთესო საშუალებაა საქონლის ლონის შერჩენისათვის და შემატებისათვის (მოხსენება ექ. იოტეიკოსი ლიეჟის შაქრის მრეწველთა კონგრესზე.
„პატოკსან“ ხელს უწყობს საქონელს და ცხენებს საჭმლის მონელებაში, რაც თავის რიგად ეხ არება შრომის უნარისა და სიცოცხლის უნარის შემატებას.
„პატოკსან“ ხელ უწყობს რომ რძის მომცემ საქონელს რძე გაუუმჯობესოს და ღლიური ნაწველიც გაადიდოს.
„პატოკსან“ ფხვნილია და ამიტომ შეიძლება ადვილად გადაურიოთ ქერში და სხვა საჭმელში.
„პატოკსან“ თავის ნოყიერების გამო ძალიან მარგებელია და ეკონომიური საჭმელი.

ვინც მოისურვებს გაგზავნება ერთი ფუთი 1 მ. 20 კ. გაგზავნის ფასს ვიხდით ჩვენ გაგზავნის დროს. ყოველგვარ ცნობა და მომხმარებლების აზრი უფასოდ იგზავნება ამიერ-კავკასიისათვის.

ერთად-ერთი წარმომადგენელი ამიერ-კავკასიისთვის **„გეორგი რუსინოვ და ამხ.“** ტფილისში, ვერის დაღმართი № 12, ტელეფონი 11—37 და 11—77. დეპეშით მისამართი: „რუსინოვს—ტფილისი“. 1384.

ქ. შ. წ.-კ. გამავრ. საზ. წიგნის მაღაზიაში იყიდება
საზოგადოების გამოცემული და საკუთარი წიგნები:

ახალი ვარიანტი წმ. ნინოს ცხოვრებისა	4 კ.	ვეფხის ტყაოსანი,	60 ,,
ასპინძის ომი, ი. გოგებაშვ.	7 „	ვეფხის ტყაოსანი, ქართ. გამოცემა,	1—65 ,,
ამბავი ცხოველთა სამეფოსი, ნ. რუბაკ.	50 ,,	Законы Царя Вахтанга,	3—50 „
აზიის მნათობი,	10 ,,	თხზულ. რ. ერისთავისა მეორე ნაწ.	40 ,,
ამოდის, ნათდება, ვაჟა	15 ,,	,, ვაჟა-ფშაველასი	1 —
ალი, ლომიური	10 ,,	,, პუშკინისა	50 ,,
აჩრდილი, ილია	5 ,,	,, ეკ. გაბაშვილისა	1—20 ,,
ბუნების ცოდნა, პოლ-ბერი	25 ,,	თავდადებულნი ქართველნი, ი. გოგ.	7 ,,
ბარტყი ძლევა-მოსილი	20 ,,	თავდადებ. ქართველი ეჯიფი, ი. გოგ.	5 ,,
ბურჯი ეროვნებისა,	20 ,,	თორნიკე ერისთავი,	35 ,,
გეომეტრია მეორე ნაწ., მ. ყიფიანისა	50 ,,	იავნანამ რა ჰქმნა?	5 ,,
გულივერის მოგზაურობა,	30 ,,	კონა, ი. გოგებაშვილი.	40 ,,
განდეგილი, ი. ჭავჭავ.	5 ,,	კრილოვის არაკები, აკაკის ნათ.	50 ,,
გლეხთა განთ. პირვ. დრ. სცენები, ჭ.	7 ,,	კაკო ყაჩაღი,	5 ,,
დედა და შვილი, ჭ.	3 ,,	კაცია ადამიანი?!	20 ,,
ერეკლე მეფე და ინ. ქალი,	5 ,,	საარაკო თავგადას. ტახტის მემკვიდრისა,	10 ,,

ადრესი: Тифлисъ. Книжный магазинъ О-ва распр. грам. ср. груз. нас. 1217

მიიღება ხელის მოწერა!

14 ივლისიდან ტფილისში იწყებს გამოსვლას ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო 2 კაპეიკიანი გაზეთი

„ახალი აზრი“

შემდეგის პროგრამით: 1) სააგენტოსა და საკუთარის კორესპონდენტების დეპეშეიი. 2) წერილები ლიტერატურულ, საზოგადოებრივ-პოლიტიკურ და ეკონომიურ საკითხებზე. სპეციალური წერილები. წერილები სახალხო კულტურისა და განათლების საკითხებზე. 3) ბელეტრისტიკა—ამბავები, მოთხრობები, ლექსები და სხვა ნაწარმოები სიტყვა-კაზმული მწერლობისა. 4) ფელეტონები და პატარა ფელეტონები. 5) კორესპონდენციები. 6) პროვინციის ცხოვრება. 7) რუსეთი. 8) საზღვარ-გარეთი. 9) აკადემიური ცხოვრება. 10) თეატრალური ცხოვრება. 11) კრიტიკა და ბიბლიოგრაფია და სხვა.

გაზეთის ფასი: ერთის წლით—4 მანეთი. ნახ. წლით 2 მ. 3 თვით—1 მ. 25 კ. 1 თვით—45 კ. ცალკე ნომერი ყველგან—2 კ.

განცხადებათა ფასი ხელ-მისაწდომია:—პირველ გვერდზე სტრიქონი პეტიტისა—10 კ. მეოთხეზე—5 კ. შრომის მძებნელთათვის თითო განცხადება—20 კ. სამგლოვიარო განცხადება ერთხელ—1 მ. 50 კ.

საჭირონი არიან კორესპონდენტები და აგენტები დაბა-სოფლებში.

რედაქციის ადრესი: Тифлисъ Тхинвальская ул. д. № 7. Редакція газ. „Ахали азри“. რედაქტორ-გამომცემელი თ. კეკელიძე. 1383.

მუდამ დღე მოგვდის

თევზის მრეწველნი
ძმ.
ძეგველოვები.

პუშკინის ქუჩა, საკუთ. სახ. № 9.
ტელეფონი № 722.

ახალ-ახალი
მტკვრისა თართი, ზუთხი, ლოქო, და სუდაკი
ახალი მსხვილ-მარცვლოვანი
ხიზილალა (ქოტკა)
აგრეთვე ყოველ დროს იყიდება მაღაზიაში მარტის დღში, იანი, ჭიპა, ზურგილები, სხვა ყოველ-ნაირი თევზეულობა და
კონსერვები.

ტფილისი, მუხრანის ქუჩა, სტამბა „შრომა“.